საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჩმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბეჭთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსამაგოესია.

ოთხშაბათი, 6 დეკემბერი. 2017 წ. №247 (8384), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

მოძმე უკრაინაში საქართველოს პრეზიდენტყოფილი

მიხეილ სააკაშვილის პირწავარდნილი ავანტიურიზმი თითოეულ ქართველში კანონიერ აღშფოთებას იწვევს!



აზიზ ნესინისა არ იყოს, – გიჟი სახურავზე!

მიხეილ სააკაშვილი კიევში სახლის სახურავზე გუშინ დილით ავიდა! მის სახლთან და საცხოვრებელ ბინაში სპეცდანიშნულების რაზმი ჩხრეკას ატარებდა. ადგილზე იმყოფებოდნენ სააკაშვილის მხარდამჭერები და ადვოკატები, თუმცა მათ სპეცრაზმი ბინაში არ უშვებდა.

სააკაშვილმა მხარდამჭერებს სახურავიდან მიმართა: **„მე სიცოცხლის ფასად მზად ვარ, უკრაინისთვის ვიბრძოლო“!..**

ბრალი, რომელსაც, სავარაუდოდ, სააკაშვილს წარუდგენენ, 5 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს

მიხეილ სააკაშვილს ბრალი უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსის 256-ე მუხლით წარედგინება, რაც დანაშაულებრივი ჯგუფისთვის დახმარების გაწევას და მათი დანაშაულებრივი საქმიანობის დაფარვას გულისხმობს. აღნიშნული მუხლი სამიდან ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

იხ. 2 გვ.

სოლომონ ნერგაძე:

⑤ მე არ მინდა ისეთი სახელმწიფო, სადაც ღუპავენ ახალგაზრდებს, ღუპავენ მომავალს!

გამოწვევების პირისპირ

④ ქართველი ერი შეხუთულ სივრცეში გამოკეტილი ერია?!

არ შეიძლება სესხს 21 წლის უმწიფარი ილებდეს!

ფინანსისტები კრედიტების გაცემაზე ასაკობრივი ზღვარის დაწესებას ითხოვენ ③

გინდ დაიჯერეთ, გინდ – არა ⑧

ზამთრის სასახლის მეორე „შტურმი“

აგვისტოს ომის ⑨ მიზეზების გამოსაძიებლად ცივილიზებული მსოფლიოს მხარდაჭერაა აუცილებელი

„სოსოიეს რუსი“

⑦

რაც ერთხელ ცხოვლად სულს დაანჩნდებიან!

მიხეილ სააკაშვილი – საქართველოსა და უკრაინის სირცხვილი!

უკრაინის პროკურატურამ სააკაშვილის წინააღმდეგ ფარული ჩანაწერები გამოაქვეყნა

— საძმე ეხება განსაკურებით მძიმე დანაშაულს უკრაინის წინააღმდეგ — მიხეილ სააკაშვილის დაკავებასთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა უკრაინის გენერალურმა პრკურორმა: ვასრულებთ ჩვენს მოვალეობას და ვაკავებთ ადამიანს, რომელსაც ბრალი ედება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში. მის გარშემო მყოფებს შეუძლიათ ნახონ ის, რაც მოიძია უკრაინის უსაფრთხოების სამსახურმა, — განაცხადა ლუცენკომ. პროკურატურა ფარულ ჩანაწერებს აქვეყნებს. სერგეი ლუცენკო ამბობს, რომ სააკაშვილი უკრაინაში ხელისუფლების დამხობას გეგმავდა. მისი თქმით სააკაშვილმა ამისთვის ვიქტორ იანუკოვიჩის მთავრობის ოლიგაქრის სერგეი კრუჩენკოსგან ნახევარი მილიონი აიღო.

სააკაშვილის დეპორტირება არ მოხდება

უკრაინის შსს-ს წარმომადგენელი ამბობს, რომ სააკაშვილის დეპორტირება არ მოხდება და მან პასუხი უკრაინის სუვერენიტეტის განადგურების მცდელობისთვის უნდა აგოს.

ეს განცხადება უკრაინის შსს-ს წარმომადგენელმა მხარდამჭერების მიერ სააკაშვილის გათავისუფლებაზე კომენტარისას გააკეთა.

არსენ ავაკოვი სააკაშვილს მოუწოდებს, დაემორჩილოს მთავრობას

უკრაინის შს მინისტრი არსენ ავაკოვი მიხეილ სააკაშვილს მოუწოდებს, დაემორჩილოს მთავრობას. ავაკოვის თქმით, ოდესის ოლქის ყოფილი გუბერნატორი ვალდებულია, უპასუხოს წარდგენილ ბრალდებას და თავი შეიკავოს სისხლისღვრის პროვოცირებისგან.

„ნებისმიერი კონფლიქტი მხოლოდ კანონიერი გზით უნდა გადაიჭრას. სანამ არ იქნება სასამართლოს გადაწყვეტილება, მანამდე გამოსავალი არ იქნება. სააკაშვილი ვალდებულია, დაემორჩილოს კანონის მოთხოვნას და უპასუხოს წარდგენილ ბრალდებას“ — წერს არსენ ავაკოვი „ტვიტერის“ გვერდზე.

კიევის პროკურატურამ სააკაშვილის გათავისუფლებასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე აღძრა

კიევის **პროკურატურამ „მხარდამჭერების მიერ მიხეილ სააკაშვილის უკანონო გათავისუფლებასთან“ დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე აღძრა.**

„ინტერფაქს-უკრაინა“ სამართალდამცველ სტრუქტურებში წყაროზე დაყრდნობით იუწყება, რომ „დაკავებული სააკაშვილის უკანონო გათავისუფლებასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის წარმოებაა დაწყებული უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსის 343-ე მუხლის შესაბამისად“. საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი, რომელიც მხარდამჭერებმა გაათვისუფლეს, უკრაინის რადასთან პრეზიდენტის იმპიჩმენტის მოთხოვნით, აქციას მართავს...

ეს უკრაინის თავის ტკივილია!

მიხეილ **სააკაშვილის** დაკავებას რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის პრესმდივანი დიმიტრი პესკოვი ეხმაურება:

„ჩვენ ინტერესით ვადევნებთ თვალს, რაც უკრაინაში ხდება. რა თქმა უნდა, ეს უკრაინის თავის ტკივილია. ალბათ, ასეთს მტერსაც არ ვუსურვებ. თუმცა, რა თქმა უნდა, უკრაინელ ხალხს მტრებად არ მივიჩნევთ“, — განაცხადა პესკოვმა.

სააკაშვილის აქციებს აშშ-ისა და ევროკავშირის მიერ „შავ სიაში“ შეყვანილი ოლიგარქი რუსეთიდან აფინანსებდა!

უკრაინული **მედიის ცნობით, მიხეილ სააკშვილის დაკავების მიზეზი სააკაშვილის აქციების უკრაინის ყოფილი პრეზიდენტის ვიკტორ იანუკოვიჩის თანაგუნდელ ოლიგარქ სერგეი კურჩენკოს მიერ დაფინანსება გახდა.**

სერგეი კურჩენკო რამდენიმე ენერგოკომპანიასა და ბანკს ფლობდა. უკრაინელმა ოლიგარქმა ქვეყანა ევრომაიდანის ცნობილი მოვლენების შემდეგ დატოვა და ამჟამად რუსეთში იმყოფება.

აშშ-ის მთავრობამ, ევროკავშირმა და კანადამ სერგეი კურჩენკო შეიყვანა „შავ სიაში“, რომელშიც უკრაინის ხელისუფლების ის ყოფილი წევრები მოხვდნენ, რომელთაც 2014 წელს რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის ხელშეწყობასა და დონბასში კონფლიქტში ჩართულობაში ადანაშუალებენ. უკრაინული მედიის ცნობით, კურჩენკოს უკრაინაში 10 საქმეზე აქვს წაყენებული ბრალი. მას ბიუჯეტიდან 18 მილიარდი გრივნის უკანონო მითვისებაში ადანაშაულებენ.

სააკაშვილი საქართველოში აქტუალური ვერ გახდება!

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის მამუკა მდინარაძის განცხადებით, ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ყველანაირ ავანტიურას მიმართავს, რათა ისევ აქტუალური გახდეს.

— რა ინფორმაციებსაც გუშინ ვისმენდი, მრცხვენია, რომ ეს ადამიანი ჩემი ქვეყნის პრეზიდენტი იყო. სააკაშვილი ყველანაირ ავანტიურას მიმართავს, რათა ისევ აქტუალური გახდეს. მისი მხრიდან ეს საქართველოში აღარ მოხდება და იმედია, უკრაინელები მალე გაიცნობენ. მართალია, ჩვენ უფრო დიდი ხანი ველოდით ამას, მაგრამ მაინც. რაც შეეხება სამართლებრივ პროცედურას, როგორც ჩემთვის ცნობილია, სააკაშვილის ექსტრადირების შესახებ მოთხოვნა რამდენჯერმე არის გადაგზავნილი. საბოლოო ჯამში, შედეგი დამოკიდებული იქნება უკრაინულ მხარეზე. საქართველოს მოქალაქემ თავის დროზე დანაშაულები ჩაიდინა, რაზეც შესაბამისი განაჩენია დამდგარი. სააკაშვილი ვერ შეძლებს, რომ საქართველოში აქტუალური გახდეს. აქედან გამომდინარე, ის საქართველოში იქნება თუ არა პატიმარი, ამით პოლიტიკური ლანდშაფტი არ შეიცვლება“, — განაცხადა მდინარაძემ.

არ მგონია, რომ უკრაინამ სააკაშვილის ავანტიურა უნდა მოითმინოს!

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გედევან ფოფხაძე ფიქრობს, რომ უკრაინის ხელისუფლებამ არ უნდა მოითმინოს სააკაშვილის ავანტიურა.

ფოფხაძე ამბობს,რომ სააკაშვილმა პასუხი საქართველოს კანონმდებლობის მიხედვითაც უნდა აგოს.

— თუ ადამიანს შენ ქვეყანაში აქვს ჩადენილი დანაშაული, პოლიტიკურ სარგებლიანობაზე საუბარი არ უნდა იყოს, რომ სასჯელის მიზანი იყოს მიღწეული, თუ სააკაშვილს აქვს ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაული საქართველოში, ვერც სხვა ქვეყანაში ყოფნა და ვერც მოქალაქეობაზე უარის თქმა მას არ უნდა ექცეს ერთგვარ დამცველ მექანიზმად, — ამბობს ფოფხაძე.

...ფარჩაკები ვერ მიხვდნენ, ვისთან აქვთ საქმე. მე ვარ გამარჯვებისთვის დაბადებული!

„ფარჩაკები ვერ მიხვდნენ, ვისთან აქვთ საქმე. მე ვარ გამარჯვებისთვის დაბადებული ქართველ და უკრაინელ ხალხთან ერთად. ნახეთ, უკრაინელებმა რა გმირობა ჩაიდინეს,“ — ეს განცხადება მიხეილ სააკაშვილმა „კურიერთან“ სატელეფონო ინტერვიუს დროს გააკეთა.

„მინდა მადლობა ვუთხრა მხარდაჭერისთვის დედაჩემს, სანდრას, ნიკუშას. ვუტირებთ ყოფას ყველა ოლიგარქს, ხალხის მძარცველს და დამამცირებელს უკრაინასა და საქართველოში,“ — აღნიშნა სააკაშვილმა.

საქართველოში კონკურენციის მსოფლიო დღე აღინიშნება

საქართველოს კონკურენციის სააგენტო წელს პირველად უერთდება კონკურენციის მსოფლიო დღის აღნიშვნას, თემით — „ჯანსაღი კონკურენცია და ბიზნესის კეთილსინდისიერება — როგორც აუცილებელი ელემენტები მდგრადი ეკონომიკური განვითარებისთვის“.

კონფერენცია სასტუმრო „ბეთსში“ გაიმართა, რომელსაც მოწვეულ ექსპერტებთან ერთად, საქართველოში მოღვაწე მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

„დღევანდელ შეხვედრაზე მოწვეულ ექსპერტებთან ერთად საქართველოში მოღვაწე მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები არიან მოწვეულნი იმ მიზნით, რომ კონკურენციის ადვოკატირება და მისი სიკეთეების პრაქტიკაში გამოყენება მათთვისაც ნათელი იყოს. აღნიშნული კონფერენცია მათი საქმიანობის გაუმჯობესების ხელშეწყობასთან ერთად, თავისუფალი სამეწარმეო საქმიანობის და მომხმარებელთა კეთილდღეობის უზრუნველყოფას; პრევენციას და კონკურენციის სფეროში კეთილსინდისიერი ქცევის, კანონმდებლობის ზოგადი პრინციპების, ვალდებულებების, საერთაშორისო პრაქტიკის გაცნობას; კონკურენციის პოლიტიკის პოპულარიზაციას; ჯანსაღი კონკურენტული გარემოს ფორმირებას; ბიზნესის წარმართვის უპირატესობების შესახებ მეწარმეთა ინფორმირებას, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას ემსახურება“, — განაცხადა შეხვედრისას ნოდარ ხადურმა.

სემინარის თანაორგანიზატორია ევროკავშირის პროექტი „კონკურენციის სააგენტოს მხარდაჭერა“. მსოფლიო კონკურენციის დღე 5 დეკემბერს 30-ზე მეტ ქვეყანაში 2010 წლიდან აღინიშნება და დაკავშირებულია ბიზნესის შემზღუდველი პრაქტიკის კონტროლთან, გაერთიანებული ერების მრავალმხრივ პრინციპებსა და წესებთან, რომელიც გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 1980 წლის 5 დეკემბერს მიიღო.

საქართველოს ელჩი ყირგიზეთის ეკონომიკის მინისტრს შეხვდა

ყაზახეთისა და ყირგიზეთის რესპუბლიკებში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ზურაბ აბაშიძე სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა ქალაქ ბიშკეკში, სადაც შეხვედრა გამართა ქვეყნის ეკონომიკის მინისტრთან არტიომ ნოვიკოვთან.

შეხვედრაზე მხარეებმა ისაუბრეს საქართველო-ყირგიზეთის ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში თანამშრომლობის შესახებ და დადებითად შეაფასეს ქვეყნებს შორის არსებული პოლიტიკური თანამშრომლობა. შეხვედრაზე ხაზი გაესვა სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის კუთხით არსებულ პოტენციალს და ამ მიმართულებით დინამიკის კიდევ უფრო გაუმჯობესების მნიშვნელობას. ორი ქვეყნის ბიზნესწრეების წარმომადგენლების დაკავშირებისა და ინვესტიციების გაზრდის მიზნით გამოითქვა მოსაზრება ბიზნესფორუმის ჩატარებასთან დაკავშირებით.

საკრებულოში დედაქალაქის 2017 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები დაამტკიცეს

თბილისის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე დედაქალაქის 2017 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები დაამტკიცეს. როგორც სხდომაზე თბილისის ვიცე-მერმა ირაკლი ხმალაძემ განმარტა, დედაქალაქის 2017 წლის ბიუჯეტში ცვლილებები მერიის სტრუქტურული ერთეულების და რაიონის გამგეობების დამატებითი მოთხოვნებისა და პროგრამების ფარგლებში მიღებული ეკონომიის გადანაწილების შესახებ მიღებული წინადადების გათვალისწინებით შევიდა. მისივე თქმით, ეკონომია ბიუჯეტში წლის განმავლობაში გამოცხადებული ტენდერებიდან და შესრულებული სამუშაოებიდან იქნა მიღებული.

სხდომაზე აღინიშნა, რომ იზრდება ძირითადად ინფრასტრუქტურული და ჯანმრთელობის დაცვის პროექტებზე გათვალისწინებული თანხები. მათ შორის, მეტროს მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაციისა და ვაგონების კაპიტალური შეკეთებისთვის გამოყოფილი თანხები, ასევე იზრდება დასუფთავების ღონისძიებისთვის გამოყოფილი თანხები. ბენეფიციართა რაოდენობის ზრდის გათვალისწინებით, იზრდება ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის რამდენიმე ქვეპროგრამის დაფინანსება, მათ შორის აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია და ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება.

არ შეიძლება სესხს 21 წლის უმწიფარი იღებდეს!

ფინანსისტები კრედიტების გაცემაზე ასაკობრივი ზღვარის დაწესებას ითხოვენ

საერთაშორისო სავალუტო ფონდის ინფორმაციით, საქართველოს კომერციული ბანკები მომგებიანობით ევროპისა და აზიის კონტინენტის სახელმწიფოთა შორის პირველ ადგილზეა. ამავე ფონდის კვლევით, საბანკო დავალიანების მქონე მოსახლეობის სიჭარბით საქართველო მსოფლიოში მეორე ადგილზეა. 2015 წლის კვლევებით, ჩვენთან ყოველ 1000 კაცზე 676 მოსახლეს აქვს ბანკის ვალი.

სავალუტო ფონდი ჯერ კიდევ 2013 წლის მონაცემებზე დაყრდნობით შეშფოთებას გამოხატავდა, რომ საქართველოში ყოველი მესამე სესხის ამღები ფიზიკური პირი თავისი შემოსავლის ნახევარზე მეტს იხდიდა ბანკის ვალის მომსახურებისათვის ყოველთვიურად. დღეს ეს მაჩვენებელი გაცილებით მაღალი იქნება.

ფინანსისტი **მიხეილ დუნდუა** გამოთქვამს მოსაზრებას, რომ საბანკო სფეროში გარკვეული ცვლილებები დაწესდეს: **„უნდა შევასრულოთ სავალუტო ფონდის რეკომენდაცია, სესხის მომსახურება/შემოსავალთან ლიმიტი უნდა დაწესდეს მხოლოდ შინამეურნეობებისათვის გასაცემ ყველა იპოთეკურ და არაიპოთეკურ სესხზე. ასევე, სესხის მომსახურება, ანუ სესხის დასაფარად ყოველთვიურად შესატანი თანხა უნდა იყოს მსესხებლის შემოსავლის 30%-ზე დაბალი, უცხოურ ვალუტაში კი 20%-ზე დაბალი. კომერციულმა ბანკებმა არ უნდა მიაქციონ ზედმეტი ყურადღება გირაოს უზრუნველყოფას, შემოსავლის დადასტურების გარეშე სესხის გაცემა კი სამუდამოდ უნდა აიკრძალოს.**

2014 წელს სავალუტო ფონდი შეშფოთებას გამოხატავდა, როცა მიუთითებდა, რომ საბანკო სესხის ამღები პირების ერთი მესამედი თავისი შემოსავლის ნახევარზე მეტს ბანკის ვალის მომსახურებისთვის იხდისო და მოუწოდებდა ეროვნულ ბანკს ლიმიტების დაწესებისკენ. დღეს ეს მაჩვენებელი გაცილებით, გაცილებით მაღალი იქნება“, — აცხადებს დუნდუა.

„არასაბანკო ფინანსურ დაწესებულებათა ასოციაციის“ თავმჯდომარის **ირაკლი ბერძენაძის** თქმით, ის ფაქტი, რომ საქართველოში კომერციული ბანკები მომგებიანობით პირველ ადგილზე არიან ევროპასა და აზიაში, განპირობებულია როგორც არასაპროცენტო, ასევე საპროცენტო შემოსავლებითაც.

„ტენდენცია არის ასეთი, რომ ძირითადად ბანკების მოგება არასაპროცენტო შემოსავლების ზრდის ხარჯზე იზრდება, როგორიცაა, ჯარიმები, სავალუტო ოპერაციები, სხვადასხვა საკომისიო გადასახადები. სესხის გაცემის ლიმიტები, რაც უნდა შევამციროთ, ეს ერთიან მონაცემებზე არ აისახება. საბანკო სფეროთი დაინტერესებული ინვესტორებისთვის სწორედ ეს არის მომხიბვლელი, რომ საქართველოში არის განუკითხავი საფინანსო სისტემა, რომელსაც მომკითხავი და რეგულატორი არ ჰყავს. შესაბამისად, ბანკები გადიან მოგებაზე. გარდა ამისა, ბანკებს შემოსავლების მიღებას ვერ დავუშლით. თუმცა უნდა არსებობდეს რეგულატორი“, — აცხადებს ბერძენაძე.

რაც შეეხება სესხის მომსახურების საკითხს, ირაკლი ბერძენაძის თქმით, ეროვნული ბანკის მხრიდან მსესხებლის ასაკობრივი ზღვარიც უნდა დაწესდეს.

„წარმოუდგენელია, დღეს ბანკმა გასცეს სესხი პირზე, რომლის საკრედიტო ვალდებულებების 60% მიდის სესხებში. ბანკი ასეთ რისკში თავიდანვე არ შედის. რეგულატორის მხრიდან გასაკეთებელია ის, რომ მსესხებლის ასაკი შეიზღუდოს. არ შეიძლება სესხი 21 წლის ან ნაკლების ასაკის ადამიანს მისცეს ბანკმა. ასევე, მკაცრად უნდა გაკონტროლდეს შემოსავლები. კომერციულმა ბანკებმა კი რისკების მხარე უნდა გააძლიერონ“, — აღნიშნავს ირაკლი ბერძენაძე.

თეონა კენჭიაშვილი

რა თანხები დაიზოგება ზუგდიდის მუნიციპალიტეტისა და მერიის, ასევე საკრებულოების გაერთიანების შედეგად?

საქართველოს ხელისუფლებამ 2014 წელს მიღებული გადაწყვეტილება თვითმმართველი ქალაქების 12-მდე გაზრდის შესახებ არამართებულად მიიჩნია და თავდაპირველ მდგომარეობას დაუბრუნდა, ანუ ისევ 5-მდე დაიყვანა და ეს გაბერილი შტატების შესამცირებლად და თანხების დაზოგვის მიზნით გააკეთა.

ყოფილი სამსახურების გაერთიანებამ, ზოგიერთების გაუქმებამ, რასაც თავისთავად მოჰყვა თანამშრომლების შემცირება, რთული პრობლემების წინაშე დააყენა ზუგდიდის არჩეული მერი ლაშა გოგია. ძნელი გადასაწყვეტი აღმოჩნდა მისთვის, ვინ დატოვოს? ვინ გაუშვას? ვინ მოიწვიოს? ახალი თანამშრომლებით დაკომპლექტების პროცესი ალბათ წლის ბოლომდე გაგრძელდება. კეთილის მსურველები ლაშა გოგიას ურჩევენ მოიშოროს ის უღირსი თანამშრომლები, რომლებიც ჯერ კიდევ შემორჩენილი არიან უკვე ახალ მერიაში.

როგორც ამბობენ მერიის თანამშრომელთა რაოდენობა 350-მდე იქნება, ხოლო სულ რაღაც 50-მდე პირს მოუწევს სამსახურის დატოვება, თანაც არ არის გამორიცხული როგორც წინა წლებში, ახლაც შტატიან თანამშრომლებს ხელშეკრულებებით აყვანილი პირებიც დაემატონ და თუ ეს მართლა ასე მოხდება მაშინ ძნელი სათქმელია თუ რა თანხები დაიზოგება ამ გაერთიანებით და რა სარგებლობას მოუტანს ხალხს და მოსახლეობას.

მერიისა და მუნიციპალიტეტის გაერთიანებისას უპირატესობა მიენიჭა მუნიციპალიტეტს, რადგან ლაშა გოგია მერად არჩევამდე სწორედ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელი იყო. მერიის ადგილსამყოფლადაც გამგეობის შენობა დაიტოვა, ხოლო გაერთიანებული საკრებულო კი მერიის შენობაში განათავსა.

რაც შეეხება ზუგდიდის საკრებულოს, გაერთიანებამ აქ უფრო უმტკივნეულოდ ჩაიარა ვიდრე მერიაში, 12 შემცირებული და 30 დატოვებული თანამშრომელი. ასეთია მიღებული გადაწყვეტილება. დეპუტატთა რაოდენობა კი შეადგენს 50-ს, გაგიკვირდებათ და ეს რაოდენობა სიდიდით თბილისის საკრებულოს უტოლდება.

უნდა აღინიშნოს, რომ ზუგდიდის საკრებულოს ახალარჩეული დეპუტატი „ქართული ოცნებიდან“, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, გალის რაიონის მკვიდრი ოთარ მარშავა, რომელიც რეგულარულად დადის აფხაზეთში და აკეთებს ურთულეს ოპერაციებს, რომლის გამოც ის დიდი პატივისცემით და ავტორიტეტით სარგებლობს მოსახლეობაში, შესაძლებელია სოხუმში გადავიდეს საცხოვრებლად და სამუშაოდ. გავრცელებული ინფორმაცია თავად ოთარ მარშავამ არც დაადასტურა და არც უარყო.

ლადო ქირია,
ზუგდიდიდან

ქართველი ერი შეხუთულ სივრცეში გამოკეტილი ერია?!

...ამ დღეებში მოზარდებს შორის კიდევ ერთი წარმოუდგენელი სისასტიკის მოწმენი გავხდით. 51- ე სკოლის მოწაფეები იმდენად იყვნენ ჩხუბში ჩართული, რომ არაფერი ესმოდათ. შედეგად, ხორავას ქუჩაზე ჩხუბის დროს, ერთმა მათგანმა მეორეს უკნიდან ცივი იარაღი ფილტვებში ჩაარტყა და ახალგაზრდა მაშინვე დაიღუპა. 14 ჭრილობის მქონე მეორე მოზარდი კი 20 საათი ებრძოდა სიკვდილს და საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა. საქმე დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობის მუხლით აღიძრა.

განათლების სამინისტროს ინიციატივით, 51-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებთან, მათ მშობლებსა და მეურვეებთან ფსიქოლოგები 24-საათიან რეჟიმში იმუშავებენ. თუმცა ვერაზე მოკლული 16 წლის მოზარდების თემამ საზოგადოება კიდევ ერთხელ დააფიქრა, რა დააკლეს მოზარდებს, რამაც ასეთი აგრესია გამოიწვია?! ის ხომ არა, რომ უცხოეთში გადახვეწილ მშობლებს ნაკლები დრო რჩებათ მათ გზაზე დასაყენებლად?

უზრუნველყოფენ თუ არა ფსიქოლოგები, რომ ასეთი დაპირისპირება აღარ მოხდეს სკოლებში?

ბავშვთა და მოზარდთა კლინიკური ფსიქოლოგი **ძეთი მაყაშვილი** For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ ფსიქოლოგია ძალზე ფართო მეცნიერებაა და ბევრი მიმართულება აქვს. მოზარდებთან მუშაობას კი სჭირდება პრაქტიკოსი სპეციალისტი, განათლებით ფსიქოლოგი, ან კლინიკური ფსიქოლოგი, ისეთი ფსიქოლოგი, რომელსაც გარკვეული პროგრამული უზრუნველყოფა გააჩნია იმისთვის, რომ სკოლაში უსაფრთხოების კლიმატი ჩამოაყალიბოს.

„ეს არ ხდება მომენტალურად, ერთ და ორ ბავშვთან მუშაობით, მთლიანად სკოლაში უნდა ჩამოყალიბდეს უსაფრთხოების კლიმატი და არა მანდატურების, არამედ სწორედ ფსიქოლოგის ან ფსიქოლოგთა ჯგუფის მეშვეობით.

მასწავლებლებთან და დირექციასთან ერთად მუშაობით ფსიქოლოგებს ნამდვილად შეუძლიათ ამის უზრუნველყოფა იმ პროგრამის ფარგლებში, რომელიც უკვე რამდენიმე წელია, შემოტანილი და აპრობირებულია საქართველოში. თუმცა რატომღაც შეწყდა ეს ყველაფერი, რადგან უპირატესობა მიენიჭა მანდატურის სამსახურს, რომლიც არ არის საკმარისი ამისთვის.

უფრო მეტიც, ბაკალავრიატდამთავრებული ფსიქოლოგიც ვერ ჩაითვლება სრულყოფილ ფსიქოლოგად, რადგან ფსიქოლოგად ყალიბდება მხოლოდ მაგისტრის წოდების მქონე ადამიანი. ცხადია, მას შეიძლება ჰყავდეს ასისტენტი, ბაკალავრდამთავრებული ფსიქოლოგის სახით“, — აღნიშნა ქეთი მაყაშვილმა.

მანვე განმარტა ის კონკრეტული ფაქტორები, რაც უარყოფითად მოქმედებს მოზარდის ფსიქიკაზე. ბავშვზე ძალიან ბევრი რამ მოქმედებს, დაწყებული მიკროსოციუმიდან, ანუ ვისთანაც უშუალო ურთიერთობა აქვს (მშობელი იქნება, მეგობარი თუ მასწავლებელი), დამთავრებული იმით, თუ რა ურთიერთობებია სხვებს შორის, ანუ ვისაც მოზარდი უყურებს. მაგალითად, მასწავლებელსა და მშობელს, მასწავლებელსა და დირექტორს შორის. ასევე, მოზარდი ხედავს მაკროდონეზე, ანუ სახელმწიფოს დონეზე როგორი ურთიერთობებია. ბავშვი ამას კიდევ ნაკლებად შთანთქავს და შთანთქავს მშობლების გავლით, მოზარდი კი პირდაპირ უყურებს ამ ყველაფერს. ცხოვრებას, რეალობაში ნანახს გაცილებით უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება მისთვის, ვიდრე კინოსა და ინტერნეტში ნანახს. აგრესიულ კინოებს უყურებს მოზარდი იმიტომ, რომ ცხოვრებაში რაღაც ასეთს წააწყდა და სურს, კიდევ და კიდევ ნახოს.

ქეთი მაყაშვილის თქმით, როგორც პატარა ბავშვი ითხოვს, წითელქუდას ამბავი რამდენჯერმე მოვუყვეთ, მოზარდიც აგრესიულ ფილმებს იმიტომ ეწაფება, რომ ცხოვრებაში უკვე რაღაცას შეხვდა.

„სახალხო ფრონტის“ ლიდერი, ფილოსოფოსი **ნოდარ ნათაძე** For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ, თუ ფსიქოლოგი კვალიფიციურია, მას დიდი საშუალებები აქვს, ხოლო არაკვალიფიციური ფსიქოლოგი მხოლოდ ზიანის მომტანია. ფილოსოფოსის თქმით, სავარაუდოდ, ეკლესიისა და მოძღვრების ჩართვა ასეთ დრამატულ შემთხვევებს სასიკეთოდ ვერ შეცვლის, რადგან ბავშვები როცა ჩხუბობენ, იქ უკვე ცნობიერების სიმძაფრის დონე აღარ არსებობს, გადალახულია.

— რა იწვევს აგრესიას? ამის თაობაზე მქონდა ასეთი შედარება, ძაღლები რომ ჩაკეტო ერთ სივრცეში, ერთმანეთს შეჭამენ. ქართველი ბავშვებიც, ქართველი ახალგაზრდებიც ჩაკეტილი არიან ამ სივრცეში, ისინი ჩაკეტილი არიან უფლებებში, პერსპექტივაში. ამიტომაც გამძაფრებული სიძულვილი აქვთ ერთმანეთის მიმართ, როგორც პატარა გალიაში დამწყვდეულ მრავალ ძაღლს ერთად. ადრე თუ გვიან, ისინი შეჭამენ ერთმანეთს, გინდაც ჰქონდეთ საჭმელი ამ გალიაში. მშობლები არაფერ შუაში არიან. აქ მთვარია სოციალური სივრცე, რომელიც ჩაკეტილია. ქართველ ბავშვს აღარ დაუტოვეს შესაძლო ინტერესი, რომლითაც შეიძლება სულდგმულობდეს ადამიანი. მოზარდები მორალურად არიან ჩაკეტილები, ეს იწვევს სიძულვილს.

დღეს მთავრობა თითქოს უწყინარია, მაგრამ პერსპექტივა ნულოვანია, ეკონომიკა ნულოვანია, განვითარება და განათლებაც ნულოვანია. ქართველი ერი შეხუთულ სივრცეში გამოკეტილი ერი ვართ, — აცხადებს ნოდარ ნათაძე.

მისივე განმარტებით, ხელისუფლებას არანაირი ზოგად-ეროვნული მიზანი არ წარმოუდგენია. ხელისუფლების უძლურება ვერ კურნავს სოციალურ წყლულებს, ბავშვები ხედავენ პირადი ცხოვრების უპერსპექტივობას, რომელიც გამომდინარეობს მათი სოციალური მდგომარეობიდან. ეს ყველაფერი ფსიქოლოგიური ეფექტის მომხდენია.

მანანა ნოზაძე

მასწავლებელთა უმეტესობაც საშოვარზე გასული მშობელია...

მასწავლებლის შრომა ფუჭად ჩაივლის, თუ მშობელმა ის ყველაფერი არ მიიღო, რაც ბავშვს სკოლიდან მიაქვს, — ამის შესახებ 35-ე სკოლის დირექტორმა მიხეილ ჩიკვილაძემ პირველი არხის გადაცემაში „აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად“ სტუმრობისას განაცხადა.

„მასწავლებელთა უმეტესობაც საშოვარზე გასული მშობელია, რომლებსაც, ფაქტობრივად, არა მოწოდება, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ის ინტერესი აქვთ, მატერიალურად უზრუნველყოფილი იყვნენ და თავიანთი ოჯახები შეინარჩუნონ. ამიტომ, ძალიან ნაკლებად ხდება, როცა მასწავლებლები თავიანთ თავზე მუშაობენ. ასევე არიან მშობლებიც. საერთოდ, ბავშვის აღზრდაში უკუკავშირი უნდა არსებობდეს. მასწავლებლის შრომა ფუჭად ჩაივლის, თუ მშობელმა ის ყველაფერი არ მიიღო, რაც ბავშვს სკოლიდან მიაქვს. ასევეა პირიქითაც, სკოლაში მოდის მშობლის მიერ სათანადოდ მომზადებული ბავშვი, მაგრამ მასწავლებელი სათანადო დონეზე არ ხვდება, რაც ასევე იწვევს იმ გარემოებას, რომ სკოლაში ბავშვი აბსოლუტურად გულგრილად მოდის“, — განაცხადა მიხეილ ჩიკვილაძემ.

51-ე და პირველი ექსპერიმენტული სკოლების დირექტორებმა გაუთქმელობის ვალდებულებას მოანერეს ხელი

პოლიციის მთავარ სამმართველოში 51-ე და პირველი ექსპერიმენტული სკოლების დირექტორების გამოკითხვა რამდენიმე საათი გაგრძელდა.

საგამოძიებო უწყებიდან გამოსულმა სასწავლებლების ხელმძღვანელებმა მედიასთან დეტალებზე არ ისაუბრეს და ამის მიზეზად გაუთქმელობის ვალდებულება დაასახელეს, რომელსაც გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე ხელი მოაწერეს. „კურიერთან“ სატელეფონო საუბრის დროს ხათუნა ბარაბაძემ არ დაადასტურა მედიაში გავრცელებული ინფორმაციაც გამოძიების დასრულებამდე მათი უფლებამოსილების შეჩერების თაობაზე.

„მე პირველად ვიყავი დღეს დაბარებული და დღეს მოვაწერე ხელი გაუთქმელობის ვალდებულებას. ვიდრე არ დასრულდება საგამოძიებო ქმედებები, მოვაწერე ხელი და ასეც ჩავთვალე საჭიროდ. მე რამდენადაც ვიცი, ჩვენი უფლებამოსილების საკითხი დადგება მას შემდეგ, რაც გამოძიება დასრულდება,“ — განაცხადა თბილისის №1 ექსპერიმენტული სკოლის დირექტორმა ხათუნა ბარაბაძემ.

უტყუარად დადგენილია, რომ კონფლიქტში მონაწილეობდა ხუთზე მეტი პიროვნება

უტყუარად **დადგენილია, რომ კონფლიქტში მონაწილეობდა ხუთზე მეტი პიროვნება,** — ამის შესახებ განცხადება განზრახ მკვლელობაში ბრალდებული მოზარდის ადვოკატმა ტარიელ კაკაბაძემ გააკეთა.

1 დეკემბერს მომხდარი მკვლელობის შესახებ ადვოკატმა შსს-ში მოზარდის დაკითხვის შემდეგ ისაუბრა, რომელიც სამ საათზე მეტხანს გაგრძელდა. განზრახ მკვლელობაში ბრალდებული მოზარდი, სამართალდამცველებს გუშინწინ ჩაბარდა, დანაშაულს ნაწილობრივ აღიარებს. ადვოკატის ინფორმაციით, მისი დაცვის ქვეშ მყოფმა დანა მხოლოდ ერთხელ გამოიყენა და ვარაუდობს, რომ მოკლულებს დაზიანებები რამდენიმე პირმა მიაყენა. ამ ეტაპზე ისინი ექსპერტიზის პასუხს ელოდებიან. აღკვეთის ღონისძიების შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრებას ადვოკატი არ აპირებს.

„საუბარია ძალიან სადისტურ ჭრილობებზე, ნამდვილად არ არის ამ ადამიანის მიყენებული, თუმცა ეს ადამიანიც აღიარებს, რომ ნამდვილად გამოიყენა დანა, ანუ ეს პიროვნება ნაწილობრივ გრძნობს თავს დამნაშავედ. შემიძლია, დაგიდასტუროთ, რომ უტყუარად დადგენილია, რომ კონფლიქტში მონაწილეობდა ხუთზე მეტი, შეიძლება, გაცილებით მეტი პიროვნება. დარწმუნებული ვარ, რომ, როდესაც მოვა ექსპერტიზის დასკვნები და დაიკითხებიან ექსპერტები, უტყუარად დადასტურდება, რომ ეს ჭრილობები არ არის მიყენებული ერთი ადამიანის მიერ,“ — განაცხადა ტარიელ კაკაბაძემ.

პატიმრების ცემა ჩვეულებრივი ამბავი იყო

თბილისის **საქალაქო სასამართლოში გუშინ ნომერ მერვე სასჯელაღსრულების დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის უფროსის ოლეგ ფაცაციასა და ამავე პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლის ზაზა ხარაიშვილის სასამართლო პროცესი მიმდინარეობდა.**

პროცესზე ერთ-ერთმა ყოფილმა პატიმარმა განაცხადა, რომ „კარანტინის“ დაშლის დროს პატიმრების ცემა ჩვეულებრივი ამბავი იყო.

„კვირაში სამჯერ მაინც შემოდიოდნენ და უმიზეზოდ გვცემდნენ. ხან რადიოს მოსმენის გამო, ხან ხმაურის გამო, წამლის მოთხოვნის გამო, ხანაც უმიზეზოდ გვირტყამდნენ. შემდეგ კი გვაიძულებდნენ, ოქმში ჩაგვეწერა, რომ საიდანღაც ჩამოვვარდით, ან რამეს მივარტყით და ამიტომაც გვქონდა დაზიანებები“, — განაცხადა მოწმე ოთარ ჟღენტმა. აღნიშნული ჩვენების გამო ბრალდებულმა ხარაიშვილმა მოწმეს შეურაცხყოფა მიაყენა, რის გამოც მას მოსამართლემ დარბაზი დაატოვებინა. ადვოკატი მალხაზ ველიჯანაშვილი „ჯი-ეიჩ-ენთან“ არ გამორიცხავს, რომ მოწმე შესაძლოა, იტყუებოდეს, რადგან მისი ჩვენება მტკიცებულებებით არ დასტურდება.

მე არ მინდა ისეთი სახელმწიფო, სადაც ღუპავენ ახალგაზრდებს, ღუპავენ მომავალს!

არა ნარკოტიკს!

არა ნარკოგამავრცელებლებს! არა ნარკომერეკლამეებს!

გთხოვთ, მოწოდებად, პოლიტიკურ გზავნილად ან ლოზუნგად არ ჩამითვალოთ ეს წერილი. იგი ჩვენი საზოგადოების ერთი, ჩვეულებრივი, თქვენნაირი წევრის გულისტკივილია.

ისევ აფუთფუთდნენ... – პარლამენტს დაჩქარებულ განხილვას სთხოვენ საკითხისას, რომელზეც ჩვენი მომავალი ბევრადაა დამოკიდებული.

ითხოვენ სასწრაფოდ განიხილონ და მიიღონ კანონი ნარკოპოლიტიკის შესახებ.

კანონს ნარკოპოლიტიკის შესახებ პარლამენტს სთავაზობენ „ყოფილი“ ნარკომანები, გირჩებისა და მათნაირი ჯგუფების წარმომადგენლები („ყოფილი“ შემთხვევით არაა ბრჭყალებში).

რამდენს მოგიწევიათ, ძვირფასო მეგობრებო, სიგარეტი წამხედურობით?

რამდენს მოგიწევიათ სიგარეტი მხოლოდ იმის გამო, რომ თქვენთვის „დედიკოს ბიჭი“ არ დაეძახათ?!...

საკუთარი გამოცდილების შესახებ მინდა, მოგახსენოთ. დაახლოებით, 40 წლის წინანდელ ამბავს გავიხსენებ.

უნივერსიტეტში სწავლისას ნათესავის ბინაში ვცხოვრობდი.

ერთ საღამოს ნათესავის, ძველი ბიჭის, მეგობრები გვეწვივნენ სტუმრად.

ვივახშმეთ. დავლიეთ.

„შეაკეთეს“.

ჩემს „არ მინდა“-ზე გაეცინათ.

დაანებეთ თავი, გიგამ უთხრა მეგობრებს – ამ კაცს სხვა გზა აქვს არჩეულიო.

გიგა ძალიან კარგი და მაგარი ბიჭი იყო. კაი პიროვნება. აღარ ვიცი, სადაა ახლა.

– მომეცით! – განვუცხადე, – არა მგონია, მომეწონოს. ისე გავსინჯავ.

ორი პაპიროსი აქვთ შეკეთებული. ერთს სამნი ეწევიან რიგრიგობით. ერთი მე მომცეს (გიგას და კიდევ ორ მეგობარს არ მოუწევიათ).

არაყს ვსვამდით. სოფლიდან ჩამოტანილს.

მოსწიეს. ერთი პაპიროსი სამმა.

დაიწყეს თვალების ტრიალი. სახე მიიღეს, გეგონებოდათ, ამათზე მშვიდი და ბედნიერი არავინ არ მოიძებნებოდა დედამიწის ზურგზე.

მახსოვს ორი გრძნობა. ორივე დღემდე მომყვება.

სამი ადამიანისადმი მათი სიყალბის გამო გაჩენილი ზიზღნარევი შეცოდებისა და სინანულის გრძნობა (ვერ დავმალავ, მართლა ასეთი გრძნობა გამიჩნდა) და ზიზღი საკუთარი თავისადმი. ძალით მოვწიე. არ შევიმჩნიე გულისრევის საზიზღარი გრძნობა. მოვწიე ბოლომდე. მერე ტუალეტში გავედი და პირიდან მოვისაქმე...

ოთახში შესვლამდე გიგას ხმას მოვკარი ყური.

– ... ააცვით აქედან!... – არ ვიცი, ამის წინ რა უთხრა. წავიდნენ.

მაშინდელი საკუთარი თავის ზიზღისა და გულისრევის მაგვარი შეგრძნება დღემდე მომყვება.

ერთადერთხელ გასინჯული ნარკოტიკი და სინანულიანი უამურობის გრძნობა მომხმარებლების მიმართ (არა ზიზღის, არამედ, შეცოდებანარევი უსიამობისა... ჩემი ნათესავებიც ერივნენ მათ რიცხვში...).

ვცდილობდი, ხელი შემეშალა მათთვის. გალახვით არავინ გამილახავს, არც გამითათხია მენტორული ტონით. ისე, სხვათაშორის, გაკვრით მიხსენებია, რომ ნარკოტიკი ეს საკუთარი თავის მტრობაა. ნარკოტიკი ილუზიაა, რომელიც რამდენიმე წუთით გატყუებს... გაჩვენებს, რომ პიროვნება და კაცი ხარ. ამ დროს პიროვნება და კაცი კი არა, ყველაზე აყროლებული განავალი ხარ...

ახლაც ღრმად ვარ დარწმუნებული ჩემი აზრის მართებულობაში.

ვერ დავმალავ, სწორედ ასეთი შეგრძნება მეუფლება „თეთრი ხმაურის“, გირჩებისა და „არასამთავრობო ორგანიზაციების“ (ზოგიერთების) წევრებს რომ ვუყურებ და ვუსმენ.

მე ვიცი, მინახავს, როგორ დაუქცევია ერთ ნარკომანს აყვავებული და სავსე ოჯახი.

ვიცი, როგორ დაუქცევია ერთ ნარკომანს რამდენიმე ოჯახი...

მე ვიცი, ახალგაზრდა ბიჭები კაიფში გაპარულები (ღმერთმა ყველა გაანათლოს!).

და, ვიცი, გამწარებული დედები და მამები...

ვიცი, უქმრობით გაწამებული ნარკომომხმარებლების მეუღლეების მწუხარების შესახებაც.

მინახავს მამები, რომლებიც ნარკოტიკებით დაღუპული შვილის საფლავზე მიწას ჭამდნენ სიმწრისგან.

ამ ორფეხებს – „თეთრი ხმაურის“, „გირჩებისა“ და მათი მსგავსი „არასამთავრობო ორგანიზაციების“ წარმომადგენლებს, ნარკოტიკების მოხმარების დაკანონება უნდათ. ფაქტობრივად, ნარკოტიკების მერეკლამეობას ეწევიან.

ნარკომერეკლამეობას სულიერად ცვედანები თუ გაბედავენ... (ალბათ, ხორციელი ცვედანებიც). საზოგადოება ითხოვსო პასუხს – ერთი ნაძირალა ამბობდა ერთ-ერთი ტელევიზიის დილის გადაცემაში.

მეგობრებო, ისინი მე საზოგადოებაში არ მთვლიან?!...

არც თქვენ, ვისაც მომავალი გაწუხებთ, საზოგადოების წევრებად არ გთვლიან?!...

არ გვთვლიან. იმიტომ, რომ ჩუმად ვართ და ხმას ვერ ვიღებთ... ხმას არ ვიღებთ...

მე არ მინდა, ნარკომანების კანონებით ცხოვრობდეს ჩემი ქვეყანა!

მე არ მინდა, საზღვარგარეთიდან დაფინანსებული გიგაურების თუ ნაცვლიშვილების მიერ თავსმოხვეული კანონებით იმართებოდეს ჩემი ქვეყანა.

გადაცემაში „პირისპირ“ პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე, ბატონი ა. ზოიძე ვინმე ბ. წიქარიშვილის და ვინმე ზ. ჯაფარიძის გვერდით იდგა და მათ წისქვილზე ასხამდა წყალს. პირველი ტიროდა, რომ თურმე მართვის უფლებას ვერ აიღებს... საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ვერ დაინიშნება... და, ნარკოტიკების დეკრიმინალიზაციას ითხოვს. ისიც ხომ ჩვენი საზოგადოების წევრია?! მასაც ხომ უნდა ჰქონდეს უფლება ატაროს მანქანა?!

ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ რომ ვინმეს მოკლავს, ვინმეს ოჯახს რომ გაუბედურებს, მისთვის და ზ. ჯაფარიძისა და, ძალიან საწყენია, მაგრამ, თურმე ბატონი ზოიძისათვის მეორეხარისხოვანია.

მე მრცხვენოდა მის გამო...

იქნებ მივაწვდინოთ ხმა ბატონ თავმჯდომარეს პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტისა – ვერაფრით ვხსნი მის აქტიურ მხარდაჭერას ზემოდასახელებული ორი ნარკომერეკლამისადმი.

ის ორფეხები, მთელი თავისი რეფლექსებით ცდილობენ ნარკოტიკების გავრცელება-გაყიდვის დაკანონებას! სწორედ ესაა მათი მიზანი და არა ის, პოლიციამ აღარ ჩაგვიდოსო ნარკოტიკი.

იქნებ მივაწვდინოთ ხმა კომისიის ზემოდასახელებულ თავმჯდომარეს!

„არა ჩადებას“! მეც მოვაწერ ხელს. მაგრამ არა დოზების გაზრდის მოთხოვნით, არამედ სხვანაირად ვეცდები, რომ პოლიციელებმა არ „ჩაუდონ“ ნარკოტიკი უდანაშაულო ბიჭებს.

ბატონ თავმჯდომარეს ატყუებენ მისგან მხარდაჭერილი მერეკლამეები – მათ პოლიციელები უტვინო და ტვინგამორეცხილები ჰგონიათ.

დავუშვათ ასწიეს ზღვარი, პირობითად, სამ გრამამდე ნარკოტიკისა, რომელიც პოლიციელს არ აძლევს უფლებას, გადამყიდველობა დაუდგინოს და დაიჭიროს.

პოლიციელი, თუ ჩადება უნდა, სამგრამნახევარს ჩაუდებს. მაინც დაიჭერს.

მერე, ესენი ოთხ გრამამდე ასწევენ ზღვარს.

პოლიციელები რატომ ვერ მოიფიქრებენ ოთხგრამნახევარი „ჩაუდონ“?!...

გამალებული შეიარაღება გავაჩაღებინოთ?!...

თუ ვინმეს მიგიწვდებათ ხმა, გადაეცით კომისიის თავმჯდომარეს – მას ხმა ხალხმა მისცა და არა ზემოთ დასახელებულმა ნარკომერეკლამეებმა.

თუ კანონი მაინც იმ სახით გავიდა, როგორც ისინი ითხოვენ, ბატონო აკაკი, გპირდებით, ყველანაირი გზით, კანონიერით, ვეცდები, მოგაშოროთ ხელისუფლებას!

ვისი მოშორებაც მინდოდა, მოვაშორე ხელისუფლებას! ამას კოლექტიური „მე“ ამბობს.

* * *

ძვირფასო მეგობრებო, დაბეჯითებით ვთხოვთ შინაგან საქმეთა მინისტრს, საზოგადოებას გააცნოს დეტალები იმისა, რაც ხდებოდა „ჯემ ფესტზე“.

ჩემმა სახელმწიფომ დააფინანსა საზეიმო ღონისძიება, სადაც ტრაგიკული შემთხვევა მოხდა. კიდევ უფრო მეტი უბედურება, როგორც ამბობენ, ექიმებმა ააცილეს ქვეყანას.

მე არ მინდა ისეთი სახელმწიფო, სადაც სახელმწიფოს აფინანსებინებენ ისეთ ღონისძიებებს, სადაც წიქარიშვილისნაირების და ჯაფარიძისნაირების მიერ რეკლამირებული ნარკოტიკები დაღუპავს ახალგაზრდებს... დაღუპავს მომავალს...

ეს ქვეყანა ხომ ჩემია?!...

შენია!

ჩვენია!...

თუ ახლანდელ პარლამენტს არ ან ვერ შეუძლია სწორი პოლიტიკის შემუშავება, საქმეს მაინც ნუ გააფუჭებს – დაუტოვოს მომავალ თაობას საშუალება სწორი პოლიტიკის გატარებისა.

სოლომონ ნერგაძე,
ასისტენტ-პროფესორი, პავიას უნივერსიტეტის ბიოლოგიისა და ბიოტექნოლოგიების დეპარტამენტი, პავია (იტალია)

P. S. ლუდიც „მაგარი ბიჭობის“ გამო დავლიე პირველად. არ მომეწონა. მაინც დავლიე.

მეორედაც ბიჭების ხათრით და „მეც გავერევი მარაქაში“-ს გამო დავლიე. მერე მივეჩვიე. ახლაც, ამდენი ხნის შემდეგ, ლუდზე, მიყვარსო, ვერ ვიტყვი.

სიფხიზლის საგუშაგოზე მდგარ პიროვნებად ნუ წარმომიდგენთ. ვსვამ ყველანაირ სასმელს... ღვინო მიყვარს. ვისკიც და კონიაკიც. არყის დალევაც შემიძლია და ლუდისაც. ტყუილად ნუ გაგიჩნდებათ ეჭვი, სასმლის წინააღმდეგიაო.

ს. ნ.

ჩატაევი, სავარაუდოდ, ე.წ. მწვანე საზღვრიდან გადმოვიდა

ჩატაევი, ჩვენი ვერსიით, ე.წ. მწვანე საზღვრიდან არის გადმოსული, ტერაქტის მოსაწყობად თუ რაზეც იყვნენ, ჯერ ვერ დავასახელებ – ეს განცხადება სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელმა ნდობის ჯგუფის შეხვედრის დასრულების შემდეგ გააკეთა. გომელაურის ინფორმაციით, ამ დროისთვის ცნობილია საიდან და როგორ შეიძინეს დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა იარაღი. ასევე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა ტყეში იარაღის სამარხი აღმოაჩინა. მისი თქმით, სწორედ ამ სამარხიდან იყო ამოღებული ბერი გაბრიელ სალოსის გამზირზე ჩატარებული სპეცოპერაციის დროს ლიკვიდირებული ტერიტორიების იარაღიც.

გომელაურის თქმით, მან ჯგუფის წევრებს 3-საათიანი შეხვედრის დროს, სპეცოპერაციისა და გამოძიების მიმდინარეობის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა.

„ახლა ექსპერტებს ველოდებით, რომ დადგინდეს ის მიწა და ის შემადგენლობა, რაც იქ აღმოვაჩინეთ. რომელი ქვეყნის საზღვარი გადმოკვეთეს, ვერ დავასახელებ, მაგრამ, ჩვენი ვერსიით, არის ე.წ. მწვანე საზღვრიდან გადმოსული.

FBI გვეხმარება ძალიან, ასევე ამ სამალავების აღმოჩენაში დიდი წვლილი შეიტანეს მათ. რა გამოიკვეთება ბოლოს, საქართველოზე მუშაობდნენ თუ სხვა მიმართულებით, ტერაქტის მოსაწყობად თუ რაზეც იყვნენ, ჯერ ვერ დავასახელებ,“ – განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

◎ გაუტიეს

შროშელებს „გადაუარეს“, თიხის გამოსაწვავად კვამლი რატომ ამოუშვითო

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ბუნდოვანმა მომავალმა თავად უმრავლესობაშიც გააჩინა კითხვები. თავდაპირველად გაურკვევლობა იყო იმასთან დაკავშირებით, ოპტიმიზაციის შედეგად ხომ არ შეუერთდებოდა გარემოს დაცვის სამინისტრო სოფლის მეურნეობის სამინისტროს?! მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ, პირიქით ხდებოდა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო უნდა შეერთებოდა გარემოს დაცვის უწყებას. თუმცა, როგორც სპეციალისტები ამბობენ, ასეთი შერწყმა ქვეყნისთვის არ იქნება მომგებიანი, რადგან სოფლის მეურნეობაც და გარემოს დაცვაც იმსახურებს იმას, რომ ჩვენისთანა განვითარებად ქვეყანაში ძლიერად იყოს წარმოდგენილი.



ამის მიუხედავად, როგორც ჩანს, გარემოს დაცვა არც ერთი ხელისუფლებისთვის არ იყო პრიორიტეტული. ამითაც აიხსნებოდა ის ფაქტი, რომ ეს უწყება ერთ-ერთ ყველაზე დაბალბიუჯეტიანად ითვლებოდა.

თუმცა ერთიცაა, რეალურად რამდენად ქმედითი სტრუქტურა იყო გარემოს დაცვის სამინისტრო და რას აკეთებდა ბუნების გადასარჩენად?!

გარემოს დაცვის სამინისტროსთან სოფლის მეურნეობის უწყების შერწყმის ფაქტს აღფრთოვანებით არ შეხვედრია „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა — დედამიწის მეგობრების“ თავმჯდომარე, გარემოს დაცვის ყოფილი მინისტრი ნინო ჩხობაძე.

ის აცხადებს, რომ ბევრად უფრო გონივრული იქნებოდა, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო დამოუკიდებლად დარჩენილიყო, რადგან ბუნებრივი რესურსების დაცვა საქართველოსთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია.

„როგორც გარემოს დაცვის ყოფილი მინისტრი და მთავრობის ყოფილი წევრი, მივიჩნევ, რომ სოფლის მეურნეობის დარგიც იმსახურებს იმას, ცალკე სამინისტრო ჰქონდეს ისევე, როგორც დამოუკიდებელ განვითარებას იმსახურებს გარემოს დაცვისა და ბუნებრივ რესურსთა დარგი. არ უნდა მივიღოთ ისეთი გადაწყვეტილება, რომელმაც შესაძლოა, სერიოზულად დააზარალოს როგორც გარემოს დაცვის სფერო და რესურსების მოხმარება, ასევე, დააკნინოს სოფლის მეურნეობის განვითარება“, — აღნიშნა ნინო ჩხობაძემ და შეკითხვის პასუხად, რამდენად ქმედითი სტრუქტურა იყო გარემოს დაცვის სამინისტრო, განმარტა, რომ ქმედითი სტრუქტურა იყო თუ არაქმედითი, ძალიან ძნელია ამის თქმა, რადგან ყველა მინისტრს ჰქონდა როგორც მიღწევები, ასევე პრობლემები.

მისი აზრით, რაც უფრო მეტად ვითარდება კაცობრიობა და მეტი ამოცანები დგას გარემოს დაცვის სფეროში, მით უფრო რთულია გარემოს დაცვის უწყების მართვა. ამიტომ, როცა ასეთი რთული პერიოდია ზოგადად გარემოსთვის და კაცობრიობასაც ემუქრება საფრთხე, ცხადია, ასეთ დროს არაგონივრულია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გაქრობა და დაბრუნება მე-19 საუკუნის ეკონომიკისკენ.

ნინო ჩხობაძის შეხედულებით, მე-19 საუკუნის ეკონომიკა რესურსმოხმარებაზე იყო ორიენტირებული. ახლაც უფრო მეტად წარმოჩინდა ეს ამოცანა, რომ ჯერ თურმე ეკონომიკა უნდა ავაღორძინოთ და გარემოს მერე მივხედოთ. ცხადია, როცა ასეთ ამოცანას ისახავ მიზნად, შედეგიც უარყოფითია და დამოუკიდებელი სტრუქტურის გაქრობაც არალოგიკურია.

„ამ გადაწყვეტილებამ მარტო გარემოს დამცველთა კი არა, თანამედროვე ეკონომისტების აღშფოთებაც დაიმსახურა. გამოდის, რომ საქართველოში თანამედროვე ეკონომისტები არ გვყავს, რომლებმაც წარმატებული ეკონომიკა შეუქმნეს ახალ ზელანდიას, ნიდერლანდებს, ფინეთს. რატომღაც ვიმეორებთ ცუდ მაგალითებს. რატომ ვაკეთებთ ასე, ვერაფრით ვხვდები“.

ორი სამინისტროს შერწყმას მიესალმება ფინანსისტი და ეკონომისტი, გარემოზე გულშემატკივარი **მურმან ქევანიშვილი**. ჩვენთან საუბარში ის აცხადებს, რომ ამდენი სამინისტრო და ამდენი ხარჯი საჭირო არ იყო. ის, რომ გარემოს დაცვის სამინისტოს შეუერთეს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სწორი გადაწყვეტილებაა, რადგან ეს ორი დარგი ერთმანეთთან ძალზე ახლოსაა. გარემოს დაზიანება, პირველ რიგში, სოფლის მეურნეობას აზიანებს და, თუ ვინმე ისეთი გამოჩნდება, რომელსაც გარემოს დაცვის საკითხებიც თანაბრად ეცოდინება და სოფლის მეურნეობაც, ამაზე უკეთესი არაფერი იქნება.

„არავის არაფერი გაუუქმებია. რომელი შტატიც საჭირო იყო, ის აუცილებლად დარჩება. მთავარია, ვინ დაინიშნება თანამდებობაზე, თორემ გარემოს დაცვაში მუშაობდნენ ადამიანები, რომლებიც არაფერს აკეთებდნენ. გადაუარეს ხალხს ჭიათურაში. მოგეხსენებათ, სოფელ შროშაში ხალხი თიხის ნაწარმს აკეთებს და ამით გააქვთ თავი. ამ თიხას გამოწვა სჭირდება, რასაც ფიჩხი და ტყეში ნაყარი შეშა ესაჭიროება. კვამლი რატომ ამოუშვითო და ეს საწყალი ხალხი გარემოს დაცვის სამინისტროს ინსპექციის სამსახურმა დააჯარიმა.

წლების განმავლობაში ეს სამსახური რაჭაში ჩამოსული არ მინახავს, რატომღაც შროშელები დააჯარიმეს, რატომ არ დაწერეთ აქტი იმაზე, ტყე რომ ჩაიბარეთ და შემდეგ ჩააბარეთო. ამ უწყებაში მნიშვნელოვან პრობლემებზე თვალს ხუჭავდნენ. ტყეში რომ გაიაროთ, შეგეცოდებათ ხეები. ტყეს რომ მოჭრი, ის ადგილი უნდა გაასუფთავო, რომ ახალი ამოვიდეს. წინათ გლეხს იმდენი შეგნება ჰქონდა, ფიჩხს რომ გაიტანდა ტყიდან, იმ ფიჩხისგან გაეწმინდა ტერიტორია, რომ ახალი ხე ამოსულიყო და არ გაეფუჭებინა იქაურობა. ახლა ერთ ხეს რომ მოჭრის და გამოატარებს ტრაქტორს, ის პატარა ნერგი, რომელიც წამოზრდილია დიდი ხის გვერდში, ნადგურდება“, — აცხადებს მურმან ქევანიშვილი და მიიჩნევს, რომ გარემოს დაცვის სამინისტროს პროფესიონალი სჭირდება.

მისივე თქმით, ზაფხულის ხანძრების დროსაც დამტკიცდა, რომ ეს სტრუქტურა არაფერს აკეთებდა. ხანძრები რომ მოხდა, იძახდნენ, მოულოდნელი იყოო. მაშინ, როცა წინასწარ უნდა სცოდნოდათ ნებისმიერი სტიქიის შესახებ და გაეტარებინათ ეფექტური ღონისძიებები.

მანანა ნოზაძე

ადგილობრივი ხორცი დეფიციტური ხდება

აკი, ბაზარი ყველაფერს დაარეგულირებსო!

საქართველოში ადგილობრივი ხორცის დეფიციტის ნიშნებია. ეს იმის ბრალია, რომ მსხვილფეხა პირუტყვის რაოდენობა ბოლო წლებში საგრძნობლად შემცირებულია.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2017 წლის მესამე კვარტალში საქართველოში 8480,8 ტონა ხორცი აწარმოეს, რაც 1000 ტონით ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. 2016 წლის მესამე კვარტალში სულ 9486,4 ტონა ხორცის წარმოება მოხდა. შესაბამისად, ქვეყანაში საქონლის ხორცის დეფიციტია და რამდენიმე სასაკლაომ ფუნქციონირებაც უკვე შეწყვიტა. სტატისტიკის სამსახურის ინფორმაციით, ბოლო ერთი წლის განმავლობაში სასაკლაოების რაოდენობა 80-დან 75-მდე შემცირდა. აქედან გამომდინარე, ადგილობრივი ბაზარი ხორცის დეფიციტს განიცდის, რაც სამომავლოდ გაძვირების წინაპირობაა.

ახლა შემოდგომაა და გლეხები ზამთრის წინ პირუტყვს თავიდან იშორებენ. ასე რომ, ბაზარზე ასე თუ ისე დასაკლავი საქონელი ჯერ კიდევ არის, გაზაფხულზე კი საპირისპირო სიტუაცია იქნება, რადგან გამოზამთრებულ პირუტყვს ვერავინ შეელევა.

შპს „მატადორის“ ხელმძღვანელი იოსებ კოხტაშვილი აღნიშნავს, რომ სასაკლაოების მუშაობა შემცირებულია.

„დასაკლავი საქონელი, ფაქტობრივად, არ შემოდის, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენი გვერდის ავლით კლავენ საქონელს. ქუჩაში რომ გაივლით, უამრავი ხორცი იყიდება, მაგრამ სად იკვლება, არავინ იცის. შეუმოწმებელი ხორცი მოსახლეობისთვის საზიანოა. სასაკლაოები სწორედ ამისთვის გავაკეთეთ, რომ ხარისხიანი ხორცი გვეწარმოებინა. გარკვეული თანხებიც ჩავდეთ, ახლა კი წარმოება, ფაქტობრივად, გაჩერდა. თუ ასე გაგრძელდა, სასაკლაოების დიდი ნაწილი დაიხურება, ხალხი უმუშევარი დარჩება“, — განაცხადა კოხტაშვილმა.

თელავში მდებარე სასაკლაოს შპს „ქართული ხორცის პროდუქტების“ ხელმძღვანელი სანდრო მეგუთნიშვილი აღნიშნავს, რომ ხორცის წარმოების შემცირების მიზეზი ექსპორტზე ცოცხალი საქონლის გაყვანაა.

„პირველ რიგში, ხორცის წარმოების მიზეზი არის ეკონომიკური სიდუხჭირე, მეორე ის, რომ მსხვილფეხა საქონელი ექსპორტზე გადის. სასაკლაოების ბიზნესი მომგებიანი აღარ არის. ვიცი, რომ ზოგი სასაკლაო დაიკეტა კიდეც. მთლიანობაში სიტუაციამ მოიტანა, რომ ხორცი გაძვირდა, ნაკლებად იყიდება. ბოლო პერიოდში მინიმუმ 4 ლარით მაინც გაძვირდა. ეს იმიტომ, რომ საქონლის შოვნა რთულია. რაც არის, ძირითადად, ექსპორტზე გადის“, — აცხადებს „კომერსანტთან“ საუბრისას მეგუთნიშვილი.

ამ ეტაპზე რეგიონებში საქონლის შენახვის პრობლემაა. ბოლო წლებში მიგრაციული პროცესების გამო სოფელიც იცლება, რეგიონებში დარჩენილ მოსახლეობას კი საქონლის გამოკვების შესაძლებლობა აღარ აქვს. ამას სტატისტიკაც ადასტურებს. თუკი 2012-13 წლებში მსხვილფეხა პირუტყვის სულადობა 1,3 მლნ ფარგლებში იყო, მისი რაოდენობა ამ დროისთვის 950 000-მდეა შემცირებული.

სოფლის მეურნეობის ექსპერტი, პროფესორი **გოჩა ზენაიშვილი** პრობლემას დიდწილად საძოვრების დეფიციტსაც უკავშირებს.

„დასავლეთ საქართველოში ჩალა მნიშვნელოვნად შემცირდა. ზამთარში ეს გამოიწვევს საქონლის რაოდენობის შემცირებას, რაც გარდაუვალია. პირადად ვცხოვრობ სოფელში და ვხედავ, რაც იქ ხდება. მაგალითად, გურიის სოფლების უმეტესობაში მოსახლეობას თუ ჰყავდა 5 სულამდე საქონელი, ახლა 2-3 შერჩა. ხალხი უკვე ცდილობს პირუტყვის მოშორებას, რადგან საკვები არა აქვს. სამომავლოდ ეს თავისთავად გამოიწვევს ბაზარზე საქონლის ხორცის გაძვირებას. საკვები უკვე გაძვირდა, 7 ლარი ღირს ნამჯა. ხალხს არა აქვს იმის საშუალება, რომ საკმარისი მარაგი შეიძინოს. მით უმეტეს, ფასი კიდევ უფრო მეტად გაიზრდება“, — განმარტავს ზენაიშვილი და დასძენს, რომ წელს პირუტყვის სულადობა როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოშიც დაიკლებს.

ბექა დანელია

„სოსოიეს რუსი“

რაც ერთხელ ცხოვლად სულს დაუჩნდებინ!



ბედნიერია ადამიანი, ვისაც განგება მწერლის ნიჭის მძიმე, მაგრამ ნათელ გვირგვინს დაადგამს თავზე. უფრო ბედნიერია ის მწერალი, ვინც ბუნებას იუმორის დიდი უნარითაც დაუჯილდოებია. იუმორის ღვთაებრივი მადლით გამთბარი შემოქმედება მწერლისა კი სწორედ ის ფენომენია, მკითხველის უსაზღვრო სიყვარულსა და პატივისცემას რომ განაპირობებს, რამდენადაც იუმორის გარეშე წარმოუდგენელია ჩვენი ყოველდღიურობა — ოჯახი, ადამიანებთან ურთიერთობა, ჭირი თუ ლხინი; იუმორი ამშვენებს პიროვნებას — საზოგადო მოღვაწეს, მეცნიერს, პედაგოგს, ხელოვანს, ჩინოვნიკს, მძღოლს, მუშას, გლეხს, დახლის მუშაკს, სტუმარს თუ მასპინძელს....

იუმორის ხალასი ნიჭით იყო დაჯილდოებული ქართველი ხალხის უსაყვარლესი მწერალი ნოდარ დუმბაძე, რომლის ყველა ლიტერატურული ქმნილება, ისინიც კი, ადამიანის წარმოუდგენელ ტრაგედიას რომ გამოხატავენ, საოცრად თბილი, იმედისმომცემი იუმორითაა გამთბარი.

დღეს, ალბათ, ძნელად წარმოსადგენია, რა აღფრთოვანებით ხვდებოდა მკითხველი მწერლის ყოველი ახალი ნაწარმოების გამოქვეყნებას.

როცა პირველად წავიკითხე მისი წიგნი-მოთხრობა „მე ვხედავ მზეს“, აღფრთოვანებულმა მაშინვე მივუტანე იგი დედაჩემს სამტრედიის რაიონულ საავადმყოფოში, სადაც მას წინა დღით ურთულესი ქირურგიული ოპერაცია გაუკეთეს.

— ეჰ, შვილო, წიგნის წაკითხვის თავი მაქვს ახლა მე? — მითხრა ავადმყოფმა.

არაფერი მითქვამს. წიგნი მაინც დავუტოვე.

...მეორე დღეს რომ მივედი, მოულოდნელად დედაჩემის შუქანთებული თვალებს შევეფეთე.

— ნუ გეშინია, შვილო, ვგრძნობ, არ მოვკვდები! — მომახარა.

— მართლა?

— ჰო, მე ვხედავ მზეს! — მიპასუხა და სახე ჯანმრთელმა სიცილმა გაუცისკროვნა.

არ დამავიწყდება, რაც იმ დღეს საავადმყოფოში ხდებოდა — ზოგი ხარხარებდა, ზოგი იცრემლებოდა; ერთ ექთანს აკვირინეც კი შეარქვეს, ვიღაც ბეჟანად მონათლეს, ღანირელ მაზურენკოს კი სოსოიეს რუსს ეძახდნენ.

მაშინ ვიგრძენი, ექიმებთან ერთად პაციენტთა იმედი და სულის მკურნალი ჩვენი სათაყვანებელი ნოდარ დუმბაძეც რომ იყო.

იმ დღეებში ქუთაისის პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა ქართველ მწერლებს ნოდარ დუმბაძეს, ჭაბუა ამირეჯიბსა და მორის ფოცხიშვილს უმასპინძლა.

მაშინ ბატონ ნოდარს ვუამბე სამტრედიის საავადმყოფოში რაც მოხდა და ვკითხე, თავად რას განიცდიდა შემოქმედებითი შრომის პროცესში.

— როცა ვწერ, — მითხრა მწერალმა, — ვერ ვაკვირდები ჩემ თავს, მაგრამ მერე ვხვდები, წერის დროს ჩემს გმირებთან ერთად მეც რომ ვტიროდი, ან ვიცინოდი, გარედან თუ ვინმე დამაკვირდება, ალბათ, ვერაფერს შეამჩნევს, თუ ცრემლი არ მომადგა თვალზე, ან არ გამეღიმა, რაც ხშირად მემართება ხოლმე... მე ხომ მაშინ ჩემს მაგიდასთან კი არა, იქ ვარ, სადაც მოქმედება ხდება. ჩემი გმირების სიხარულით ვხარობ და მათი საწუხარი მაწუხებს. სხვათაშორის, მეორე დღეს, თითქმის ყოველთვის, ჩემი ოჯახის წევრებს ვუკითხავ ხელნაწერს და გულისფანცქალით ვაკვირდები სახეზე, ასე ვამოწმებ, რა გამომივიდა — კარგად დამიწერია თუ არა.

— მახსოვს, — განაგრძო მწერალმა, — ერთხელ შუაღამე გადასული იყო, ჩემი მოთხრობიდან „მე ვხედავ მზეს“ წისქდენად პოპულარული გახდა, რომ თითქმის ყველა სცენაზე დაიდგა, გადაიღეს სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმიც.

ასეთი არნახული რეზონანსის მიუხედავად, რატომღაც სათანადოდ არ გაიშიფრა მაშინაც უაღრესად პოპულარული სლოგანი „სოსოიეს რუსი.“

ცხადია, ნოდარ დუმბაძემ იუმორში ოსტატურად შეფუთა ეს ორი სიტყვა და აგერ უკვე თითქმის ნახევარი საუკუნეა, სულ სიცილ-ხარხარით აძახებინა ქვეყანასა და ხალხს „სოსოიეს რუსიო“, ე.ი. სტალინის რუსიო!

კარგად ვგრძნობ, რა მახვილი თვალი ჰქონდა მწერალს, როცა მთავარ მოქმედ პერსონაჟს, ობოლ ბიჭს სახელად მაინცდამაინც სოსო შეარქვა!... ცოცხალმკვდარი რუსი, დიახ, მაინცდამაინც რუსი, ჩაის ბუჩქებში აპოვნინა არა რომელიმე ჭკვიან კაცს, არამედ გადარეულ ბეჟანას და სწორედ ამ ჭკუანაღრძობ კაცს ზურგით შეათრევინა რუსი ქართველის სახლში.

არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, მაინცდამაინც შინ რუსის შემომთრევი რომ შეეწირა დათიკოსთან დავას! ... ან კიდევ, რუსის სოფლიდან წასვლას ვინც ითხოვდა, მას უშიშროება რომ დასდევდა!

აი, რა ძალა აქვს მწერლის ნიჭს და ქართულ იუმორს!

იმ ეპოქაში ქართულ მწერლობაში რუსის სახის წარმოჩენა „სოსოიეს რუსის“ სახით, მწერლის ნამდვილი გმირობა იყო!

ბენია თხილავა,
ქუთაისიდან

9 ეკლესიისთვის 9 მიწის ნაკვეთი 9 ლარად

თბილისის მერიამ საპატრიარქოს 9 ეკლესიის მშენებლობისთვის მიწის 9 ნაკვეთი 9 ლარად გადასცა — ინფორმაციას ამის შესახებ bm.ge ავრცელებს.

2017 წლის 9 თვეში თბილისში 53 453 420 ლარის ღირებულების მიწა გაიყიდა.

როგორც თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სააგენტოდან „ანალიტიკის“ მიერ ოფიციალურად გამოთხოვილი ინფორმაციიდან ირკვევა, საანგარიშო პერიოდში სააგენტომ სულ 477 802 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი გაასხვისა.

მისივე ცნობით, იანვარ-ოქტომბერში თბილისის მერიას სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი არ გაუყიდია.

„ანალიტიკა“ ასევე დაინტერესდა — „არის თუ არა პრივატიზებულ მიწებს შორის სიმბოლურ ფასად — 1 ლარად გაყიდული მიწები“.

როგორც დედაქალაქის მერიიდან მოგვწერეს, მიმდინარე წლის ცხრა თვეში, 1-1 ლარად 18 დაინტერესებულ პირს 75 861 კვ.მ. მიწის ნაკვეთი გადაეცა.

აღსანიშნავია, რომ 18 ხელშეკრულებიდან 9 შემთხვევაში დაინტერესებული მხარე იყო საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია, რომელსაც თბილისში 9 მიწის ნაკვეთი, რომლის საერთო ფართი 16, 073 კვ.მ-ია, სიმბოლურ ფასად 1-1 ლარად მიჰყიდეს, სავარაუდოდ, 9 ეკლესიის მშენებლობისთვის. მიწის ნაკვეთები გურამიშვილზე, თემქაზე, მუხიანსა და თბილისის სხვადასხვა უბნებში მდებარეობს.

მერიაში განმარტავენ, რომ, როდესაც საპატრიარქო დაინტერესებულია კონკრეტული მიწის ნაკვეთით, ის მიმართავს თბილისის მერიას, შემდეგ საკითხს განიხილავენ რელიგიის კომისიასთან და დადებითი რეკომენდაციის შემთხვევაში, საკითხი თბილისის მთავრობის სხდომაზე გადის, ბოლო სიტყვას კი, საკრებულო ამბობს.

რაც შეეხება თბილისში 1 ლარად გასხვისებულ სხვა მიწებს, დანარჩენი მიწის ნაკვეთები სიმბოლურ ფასად, 1-1 ლარად გადაეცა ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს, ასევე ერთ-ერთ შპს-ს, რომელსაც საპრივატიზაციო პირობაში 17 ბინის მერიისთვის გადაცემა ჩაუდეს.

ქართული ფოტოკვირეული ინდოეთში

ინდოეთში საქართველოსა საელჩოს მხარდაჭერითა და თბილისის ფოტოფესტივალის ორგანიზებით, ნიუ დელის India Habitat Centre-ში გამოფენა გაიმართა სახელწოდებით „ქართული ფოტოკვირეული ინდოეთში“. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო XX საუკუნის ქართველი და ინდოელი ფოტოგრაფების, შალვა ალხანაიძისა და სურეშ პუნჯაბის 50-მდე ნამუშევარი.

ღონისძიების გახსნის ცერემონიაზე დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა ინდოეთში საქართველოს ელჩმა არჩილ ძულიაშვილმა, ხოლო თბილისის ფოტოფესტივალის სამხატვრო დირექტორმა ნესტან ნიჟარაძემ საჯარო ლექცია „ქართული ფოტოგრაფიის ისტორია“ წაიკითხა. გამოფენის გახსნას ნიუ დელიში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, გამოჩენილი ფოტოხელოვანები, სტუდენტები და ჟურნალისტები დაესწრნენ.

გამოფენა საქართველოსა და ინდოეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 25 წლისთავის აღსანიშნავი ღონისძიებების ფარგლებში ჩატარდა.

აღსანიშნავია, რომ გამოფენა 2014-2016 წლებში ინდოეთში საქართველოს ელჩის ლევან ნიჟარაძის ხსოვნას მიეძღვნა.



ზამთრის სასახლის მეორე „შტურმი“

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ, როგორც ამ ბოლშევიკურ ყაჩაღურ გადატრიალებას მაღალფარდოვნად უღვთო საბჭოური იდეოლოგები ნათლავდნენ, აგერ უკვე საუკუნეზე მეტი ხანი გავიდა. იმ სისხლიან დღეთა უმნიშვნელოვანესი დეტალები ახლაღა ჩნდება, თუმცა კი მათ საკმაოდ ფრაგმენტული ხასიათი აქვთ. ერთი ასეთია პეტერბურგში ზამთრის სასახლის შტურმი 1917 წლის 25 ოქტომბრის ღამეს, მაგრამ იმის შესახებ, რომ სულ რამდენიმე დღეში ჯარისკაცების, მეზღვაურებისა და მუშათა ბრბომ მას ხელმეორედ შეუტია, ამის თაობაზე საბჭოეთის ქვეყანაში ენას არავინ ასველებდა.

ამის მიზეზის ახსნა ორი სიტყვით შეიძლება: საქმე ისაა, რომ ამ ჯერზე „გულანთებულ რევოლუციონერთა“ მიზანს მეფის სასახლის ღვინის სარდაფები წარმოადგენდა, სადაც პეტროგრადის ალკოჰოლის იმდროინდელი მთელი მარაგის მეხუთედი იყო თავმოყრილი. მუქთა დასალევით გამოტყვრომის მეტად მიმზიდველმა პერსპექტივამ თანამოძმეთა დაღვრილი სისხლით ისედაც გაბრუებული არამზადების ჯგროს გონი სრულიად დააკარგვინა, მაგრამ ერთი ღვთის რისხვა ამ ხალხს თავს უმალ დაატყდა: თუკი პირველ შტურმში სულ რამდენიმე კაცი დაიღუპა, ღვინის სარდაფების დარბევისას დაღვრილ სასმელში გაცილებით მეტნი დაიხრჩვნენ.

დროებითი მთავრობის დაცემის შემდეგ, ბუნებრივია, ყველას თავისი თვალით სურდა ეხილა, თუ როგორ ცხოვრობდა „პირსისხლიანი მეფე“. სტიქიურ ექსკურსიებს, ცხადია, სავალალო შედეგი მოჰყვა: „მნახველთა“ ცნობისმოყვარეობას ემსხვერპლა თითქმის ყველაფერი, რისი მოპარვაც ვერ მოხერხდა. მიჰქონდათ ავეჯი, ჭურჭელი, თეთრეული, ვერცხლის დანა-ჩანგალი, ფარდები, კარის სახელურები...

ბრბოსთვის ყველაზე მიმზიდველი, რაღა თქმა უნდა, ღვინის სარდაფი იყო, სადაც უძვირფასესი სასმელების 100 ათასზე მეტი ბოთლი ინახებოდა, რომელთა ღირებულება ათეულობით მილიონი ოქროს რუბლი იყო! ჰოდა, სწორედ ამ უიშვიათეს ფრანგულ, იტალიურ, ესპანურ ღვინოებს, საკოლექციო კონიაკებსა და ლიქიორებს, ელიტური მარკის ვისკის, ნარჩევ არაყსა და ლუდს ეძგერნენ რევოლუციონერი მეამბოხეები. მართალია, სარდაფის დაცვა პრეობრაჟენსკისა და პავლეს პოლკების ჯარისკაცებს ჰქონდათ დავალებული, მაგრამ ისინიც „მოზეიმე ხალხის მასებთან“ ერთად ილეშებოდნენ. პიტერელმა წითელგვარდიელმა მუშებმა კი ფხიზლებმა მხოლოდ რამდენიმე საათს გაძლეს. იგივე ბედი ეწია რამდენიმე ჯავშნოსანი მანქანის ეკიპაჟებს, რომლებიც ბოლშევიკებმა თვითნებობის აღსაკვეთად გაგზავნეს – მათ რამდენიმე ასეული ბოთლი სასმელი მიაწოდეს სასწრაფოდ და ჯარისკაცებიც უმალ შეუდგნენ „დეგუსტაციას“. მათ არც მეხანძრეები ჩამორჩნენ, რომლებსაც თითქოს წყლის ჭავლებით უნდა დაეცხროთ „თანამეინახენი“. საქმეს არც სარდაფის შესასვლელთა აგურებით ამოქოლვამ უშველა, გამხეცებული ხალხი შენობაში ფანჯრებიდან ძვრებოდა, კედლებს ურეოებით ანგრევდა. ღვინის კასრებს ჯარისკაცები ხიშტებით ხვრეტდნენ და კონდახებით ძირს უმტვრევდნენ, მერე კი მანამდე სვამდნენ, ვიდრე გონდაკარგულები დაღვრილი სასმლის გუბეებში არ ეცემოდნენ.

ოფიციალური საბჭოური ვერსიით, ზამთრის სასახლის ღვინის სარდაფებში დაცული მთელი სასმელი ბალტიელ მეზღვაურთა და თავგანწირულ მეხანძრეთა რაზმმა გაანადგურა. **სინამდვილეში კი, ის, რისი დალევაც ბრბომ ვეღარ შეძლო, სარდაფებიდან გარეთ გადმოიღვარა: ელიტური ალკოჰოლი დახეთქილი კასრებიდან და დამსხვრეული ბოთლებიდან მდინარე ნევაში ჩაედინებოდა, უკვე შეზარხოშებული ჯარისკაცები, წინთელგვარდიელი მუშები და, უბრალოდ, მსურველები, ალკოჰოლს პირდაპირ მიწიდან თქვლეფდნენ.**

მეტიც, ზამთრის სასახლის გარდა, 1917 წლის პეტროგრადში ღვინის 570 საწყობი იყო არისტოკრატებისა და შეძლებული ხალხის სასახლეებში. „ღვინის განძეულზე“ ნადირობამ უამრავი პეტერბურგელი გაიტაცა, თუმცა კი ეს სასტიკად არ მოეწონათ რევოლუციონერ ჯარისკაცებსა და მეზღვაურებს, რომლებსაც სამოქალაქო პირთა ამ საყოველთაო ღრეობაში მონაწილეობა არაფერში ეპიტნავათ. ამიტომაც, ფინეთის პოლკის ჯარისკაცებმა ვასილის კუნძულზე სამხედრო მდგომარეობა გამოაცხადეს: ყველა მოროდიორს ადგილზე დავხვრეტთო. **სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი, რომელიც მაშინ ერთადერთ რეალურ ხელისუფლებას წარმოადგენდა, ალკოჰოლის უკონტროლო ძარცვების ტალღის ოდნავ მაინც შესაჩერებლად, იძულებული იყო ჯარისკაცებზე ყოველდღიურად ალკოჰოლის ულუფა – დღეში 2 ბოთლი არაყი გაეცა(!)**

წარმოგიდგენიათ, როგორი „წესრიგი“ სუფევდა ქალაქში იმ დაწყევლილ დროს?!

ზამთრის სასახლის ღვინის სარდაფებში განვითარებული მოვლენები ტრამალის ხანძრის სისწრაფით მთელ ქალაქს მოედო: ჯარისკაცები ყველგან ღვინის სარდაფებს არბევდნენ და სადაც მათი „ქეიფი“ იყო, ვერა კაცი ცხვირს ვერ ყოფდა. თანაც, თუ ერთი პოლკის ჯარისკაცები სხვა პოლკის სამხედროებს გადააწყდებოდნენ, „ტყვეებს“ არაყს ძალით ასმევდნენ იქამდე, ვიდრე კაცს ფეხზე დგომა შეეძლო.

5 ნოემბრის ღამეს პეტროგრადის საბჭოს მძღოლთა რაზმმა მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასულის სასახლის ღვინის სარდაფი დაარბია – დაილია და დაილეწა 25 ათასი(!) ბოთლი. რამდენიმე დღეში კი ერთ-ერთ რკინიგზის სადგურზე ჯარისკაცებმა სპირტიანი ვაგონი გატეხეს და სმა პირდაპირ ცისტერნიდან დაიწყეს. იმ რკინიგზელებს, ვინც დაა-პირა ამაში ხელი შეეშალათ, ტყვიები დაუშინეს. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ მუშებმა და მეზღვაურებმა უარი თქვეს „ღვინის დამრბევთა“ დაშოშმინებაზე, ამიტომ ეს საქმე ლატვიელ მსროლელთა „მფრინავ რაზმებს“ დაეკისრა.

თვითმხილველთა მოწმობით, ამ მოვლენებმა ვლადიმერ ულიანოვ-ლენინზე იმდენად იმოქმედა, რომ მას სახის ნერვმაც კი დაუწყო ტოკვა, მერე ისტერიკა დაემართა და ყვირილი მორთო – ეს არამზადები რევოლუციას არაყში დაახრჩობენო! „ღვინის დარბევები“ ბოლშევიკებმა ბურჟუაზიის პროვოკაციებად მონათლეს...

19 ნოემბერს პეტროგრადის სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა მთელ ქალაქში მორიგი მიმართვა გაავრცელა, რომლითაც სპირტიანი სასმელების დამტაცებლები ხალხის მტრებად გამოაცხადა, მაგრამ საქმეს ვერც ამან უშველა: მარტო 4 დეკემბერს ქალაქში ღვინის სარდაფებზე 70 თავდასხმა მოხდა, რაც იმის მიზეზი გახდა, რომ მეორე დღეს ბოლშევიკებმა დარბევებთან ბრძოლის საგანგებო კომიტეტი შექმნეს, რომელმაც 6 დეკემბერს პეტროგრადში საალყო მდგომარეობა შემოიღო.

ზამთრის სასახლისა და ღვინის საწყობის დარბევა. მხატვარი ივანე ვლადიმიროვი

მოამზადა
დალი ხუნდაძემ

წლის მოდელი ადვა აბოა გახდა

ბრიტანეთში წლის მოდელი დაასახელეს. ფეშენ ევარდსის ტრიუმფატორი ადვა აბოა გახდა. მის მთავარ კონკურენტად 16 წლის კაია გებერი სახელდებოდა, თუმცა წლის მოდელის ტიტული წილად აბოას ხვდა. ბრიტანელი მოდელი ცნობილი ფემინისტი და მენტალურ დაავადებათა წინააღმდეგ მებრძოლი აქტივისტია.

TIME-მ წლის ადამიანი დაასახელა

ჟურნალმა „ტაიმმა“ წლის ადამიანი დაასახელა. პრესტიჟული ტიტულის მფლობელი საუდის არაბეთის ტახტის მემკვიდრე მუჰამედ ბენ სალმან ალ საუდი გახდა. მას ხმა „ტაიმის“ მკითხველთა 24-მა პროცენტმა მისცა.

პრინცმა ნოემბრის დასაწყისში მასშტაბური ანტიკორუფციული კამპანია წამოიწყო, რომლის ფარგლებშიც საუდის არაბეთში სამეფო ოჯახის 11 წევრი და 60-მდე მოქმედი და ყოფილი მაღალჩინოსანი დააკავეს.

„ამერიკის ხმა“ და რადიო „თავისუფლება“ რუსეთში „უცხოელ აგენტებად“ გამოაცხადეს

რუსეთის მიერ მიღებული კანონის თანახმად, „უცხოელ აგენტად“ გამოცხადდა ასევე ამავე კომპანიების დაქვემდებარებაში მყოფი შვიდი გამოცემა. მათ შორის არის „ციმბირი რეალიები“, „კავკასია რეალიები“ და ტელეარხი „Настоящее время“.

შეგახსენებთ, რომ რუსეთის ხელისუფლებამ საზღვარგარეთიდან დაფინანსებული მედიასაშუალებების „უცხოელ აგენტად“ გამოცხადების შესახებ კანონი მას შემდეგ მიიღო, რაც აშშ-ის ანალოგიური სტატუსის მიღება რუსულ ტელეკომპანია „Russia Today“-ს მოსთხოვეს. გუშინწინვე ცნობილი გახდა, რომ ამერიკული მედიასაშუალებების ჟურნალისტებს რუსეთის დუმა აკრედიტაციები გააუქმება.

კევინ სპეისი სერიალის ეპიზოდებიდან ამოიღეს

პოპულარული სერიალის „ბანქოს სახლის“ ბოლო სეზონი კევინ სპეისის მონაწილეობის გარეშე გავა. მსახიობი რამდენიმე ეპიზოდში უკვე გადაიღეს, თუმცა სექსუალური სკანდალის გამო ეპიზოდებს მისი მონაწილეობით ფილმიდან ამოჭრიან. სტუდია ნეტფლიქსმა სპეისთან თანამშრომლობა ერთი თვის წინათ შეწყვიტა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც მსახიობი სექსუალურ შევიწროებაში დაადანაშაულეს.

ევროკავშირი და ბრიტანეთი ბრექსიტზე ვერ შეთანხმდნენ

ევროკავშირსა და ბრიტანეთს შორის ე.წ. ბრექსიტის მოლაპარაკება ისევ უშედეგოდ დასრულდა. ამის შესახებ ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ევროკომისიის თავმჯდომარე ჟან კლოდ იუნკერთან გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადა, თუმცა მისივე თქმით, მსჯელობა მეგობრულ ატმოსფეროში მიმდინარეობდა და პროგრესის იმედი ჯერ ისევ არსებობს. შეძლებენ თუ არა მხარეები შეთანხმებას, ეს, სავარაუდოდ, 14-15 დეკემბერს ბრიუსელში დაგეგმილ სამიტზე გაირკვევა.

იემენის ექსპრეზიდენტი მოკლეს

იემენის ყოფილი პრეზიდენტი ალი აბდალა სალეჰი მოკლეს. ინფორმაცია ცოტა ხნის წინათ არაბულმა მედიასაშუალებებმა გაავრცელეს. ერთ-ერთი ვერსიით, სალეჰი მისი სახლის აფეთქების შედეგად დაიღუპა, სხვა ვერსიით კი მას თავს დაესხნენ. იემენის დედაქალაქში მეამბოხე ჰუსიტებსა და სალეჰის მომხრეებს შორის მომხდარ შეტაკებას 200-ზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა. სროლისა და აფეთქებების ხმა სანაში ამ წუთებშიც ისმის.

◎ ᲢᲧᲐᲕᲘᲓᲐᲜ ᲫᲕᲠᲔᲑᲘᲐᲜ

ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲘ „ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲨᲘ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐ“

ᲝᲙᲣᲞᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე კან ტანია იტალიიდან დაბრუნდა, სადაც ცოტა ხნის წინ „აფხაზეთის დიპლომატიური წარ-მომადგენლობა“ გაიხსნა.

როგორც ტანიამ ჟურნალისტებს გა-ნუმარტა, იტალიაში ახალჩამოყალიბე-ბული აფხაზური სტრუქტურა — ეს არის იურიდიული პირი სახელწოდე-ბით „იტალიასა და ამავდროულად ევ-როკავშირის ქვეყნებში აფხაზეთის რესპუბლიკის დიპლომატიური წარმო-მადგენლობა“.

„დიპლომატიური წარმომადგენლობა“ — ეს სახელწოდება ზუსტად ასახავს მის საქმიანობას. ჩვენ აქ (საბუთებში) გვიწე-რია „ორგანიზაციის საქმიანობა საერთა-შორისო თანამშრომლობის მიმართულე-ბით“. ეს იმის ანალოგიური საქმიანობაა, რომელსაც საელჩოები აწარმოებენ. ამ ფაქტს ჩვენი დიპლომატიის უდიდეს მიღ-წევად ვთვლით და ვფიქრობთ, რომ ნა-ბიჯ-ნაბიჯ ვაღწევთ კონკრეტულ შედე-გებს. გავაფორმეთ რა საკანონმდებლო დონეზე იტალიასა და ამავდროულად ევ-როკავშირის ქვეყნებში აფხაზეთის რეს-პუბლიკის წარმომადგენლობა, ჩვენმა სა-გარეო პოლიტიკურმა უწყებამ გზა გაკ-ვალა და ახლა უკვე გაჩერებას აღარ ვა-პირებთ“, — აღნიშნა ახალგაზრდა აფხაზ-მა დიპლომატმა.

მისივე თქმით, **„აფხაზეთის პოპულა-რიზებისა და მისი იმიჯის ზრდაზე ზრუნ-ვის გარდა, წარმომადგენლობა იტალი-ასა და ევროკავშირის ქვეყნებში აფხაზე-თის მოქალაქეების უფლებების დაცვით დაკავდება“.**

ამასთან, კითხვას, კონკრეტულად როგორ აპირებენ ამის მიღწევას, ტანიამ ასეთი პასუხი გასცა:

„ოფიციალურ ინსტანციებში და ევრო-კავშირის მთავარ დიპლომატ ფედერიკა მოგერინის შესაბამისი წერილები დაეგზავ-ნა. ეს წერილები მოიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, სად უნდა განაცხადონ აფხა-ზეთის მოქალაქეებმა ევროკავშირის ქვეყ-ნებში რაიმე პრობლემების შექმნის შემთხ-ვევაში. ამასთან, აფხაზური პასპორტების მფლობელებს ვურჩევთ, მოგვმართონ ჩვენ — აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტ-როს, ჩვენ კი წარმომადგენლობასთან და-კავშირებაში დავეხმარებით“.

ᲪᲜᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ: ᲛᲐᲜᲐᲛᲓᲔ, 2016 ᲬᲚᲔᲡ ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲐᲛᲝᲥᲛᲔᲓᲓᲐ „ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲐ ᲔᲕᲠᲝᲞᲐ — ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘ“, „ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ“ (ᲠᲝᲛᲘ) ᲓᲐ „ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ-ᲡᲐᲛᲠᲔᲩᲕᲔᲚᲝ ᲞᲐᲚᲐᲢᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐ“.

როგორც კან ტანიამ ჟურნალისტებს უამბო, ყველა ამ ინიციატივის განხორ-ციელებაში „დიდი დახმარება“ გასწია წარსულში კოსოვოს საგარეო საქმეთა მინისტრმა, „აფხაზეთის საგარეო საქ-მეთა სამინისტროს განსაკუთრებულ და-ვალებათა ელჩმა“ ვიტო გრიტანიმ. ეს უკანასკნელი ამავდროულად „საერთა-შორისო დიპლომატიური ობსერვატო-რიის“ ხელმძღვანელიცაა — ორგანიზა-ციისა, რომელშიც 165 ელჩია აკრედიტე-ბული.

ტანიას მტკიცებით, „ელჩის“ მოვალე-ობებს ბატონი გრიტანი „კეთილი ნების საფუძველზე“, ყოველგვარი ანაზღაუ-რების გარეშე ასრულებს და „არაფერ-ზე, რაც იტალიაში გაკეთდა, აფხაზუ-რი ბიუჯეტიდან ერთი რუბლიც არ და-ხარჯულა“, თუ არ ჩავთვლით სამივლი-ნებო ხარჯებს.

აღსანიშნავია, რომ გასულ შაბათს ბარის პროვინციაში, სანტა მარია დელ პოცოს ეკლესიაში ყველა აფხაზი ქრის-ტიანისთვის მესა ჩატარდა. უკვე კვირას კი, ტანიას თქმით, ცნობილი გახდა, რომ ქართულმა მხარემ ბარისა და კაპურსოს რელიგიურ თემებზე „ზეწოლა განა-ხორციელა“. მისივე ვარაუდით, ზარე-ბი განხორციელდა ვატიკანში საქართ-ველოს საელჩოდან.

სამშაბათს კი გაიმართა აფხაზი დიპლომატის პრესკონფერენცია იტა-ლიელი ჟურნალისტებისთვის. კან ტა-ნიამ მათ განუმარტა რომში „აფხაზე-თის კულტურის ინსტიტუტის“ ფუნქცი-ები, კერძოდ აღნიშნა, რომ იგი **„ძირი-თადად იტალიაში აფხაზური ტრადიცი-ებისა და კულტურის პოპულარიზებით, იტალიური მედიისთვის პუბლიკაციების მომზადებით და 4 ენაზე გაზეთის გამო-ცემითაა დაკავებული, უახლოეს ხანებ-ში კი მასთან ადგილობრივი მსურველი ფილოლოგებისთვის აფხაზური ენის კურსებიც ამოქმედდება“.**

„ᲐᲫᲪᲔᲜᲢᲘ“

ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲝᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲫᲘᲔᲑᲚᲐᲓ ᲪᲘᲕᲘᲚᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐᲐ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘ

ᲘᲣᲡᲢᲘᲪᲘᲘᲡ **სამინისტროს დელეგაცია მინისტრის მოადგილე გოჩა ლორთქიფა-ნიძის ხელმძღვანელობით რომის სტატუ-ტის წევრი სახელმწიფოების წარმომად-გენლებს შეხვდა. ღონისძიება ქართული მხარის ინიციატივით ნიუ-იორკში, ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სა-სამართლოს წესდების (რომის სტატუტის) ხელ-მომწერი სახელმწიფოე-ბის ასამბლეის მე-16 სესი-ის ფარგლებში, სესიის გახსნის დღეს გაიმართა.**

შეხვედრის მიზანი რუსეთ-საქართველოს ომის დროს ჩადენილი დანაშაულების გამო-ძიების შესახებ რომის სტატუტის წევრი ქვეყნების ინფორმი-რებაა, რაც საქართველოსათვის ამ უმ-ნიშვნელოვანეს საკითხზე განსაკუთრე-ბით ღირებულია ახლა, როდესაც ჰაა-გის სასამართლოს მიერ 2008 წლის რუ-სეთ-საქართველოს ომის ფარგლებში ჩა-დენილი დანაშაულების გამოძიება ინ-ტენსიურ ფაზაში შედის.

საქართველოს დელეგაციის ხელმძღ-ვანელმა სახელმწიფოთა წარმომადგენ-ლებსა და საერთაშორისო და არასამ-თავრობო ორგანიზაციებს დეტალურად განუმარტა, თუ რა აგრესიულ მოქმედე-ბებს ახორციელებს რუსეთი საქართვე-ლოს წინააღმდეგ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე. იუსტიციის მი-ნისტრის მოადგილემ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო 2008 წლის ომის დროს რუსეთის მხრიდან კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებს და ვრცლად ისაუბრა იმაზე, თუ როგორ თანამშრომლობს საქართველო ჰააგის სასამართლოსთან, რათა გამოუძიებე-ლი არ დარჩეს ის ქმედებები, რაც საქარ-თველოს ოკუპაციისას განხორციელდა.

გოჩა ლორთქიფანიძემ ისაუბრა რუ-სეთის მიერ ჩადენილ ყველა იმ დანაშა-ულზე, რომელთა გამოძიებაც საქართ-ველოს სახელმწიფოსა და მისი თითო-ეული მოქალაქისათვის უმნიშვნელოვა-ნესია. მათ შორის იყო ქართველების ეთნიკური წმენდა; სამოქალაქო პირე-ბისა და ობიექტების დაბომბვა; ქართუ-ლი სოფლების მასობრივი და მიზანმი-მართული გადაწვა; საკუთრების განად-გურება, ძარცვა და მაროდიორობა; მშვიდობიანი მოსახლეობისა და ქართ-ველი სამხედრო ტყვეების მკვლელობა და წამება, რუსეთის აგრესია როგორც კოორდინირებული პოლიტიკა.

იუსტიციის მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, რომ გამოძიების პროცესს მრა-ვალი გამოწვევა ახლავს თან, მათ გადა-ლახვაში კი ცივილიზებული მსოფლი-ოს მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესი და გადამწყვეტი ფაქტორია. მან მოუწოდა პარტნიორი სახელმწიფოების დელეგა-ციებსა და საერთაშორისო მისიებს, მხა-რი დაუჭირონ 2008 წლის აგვისტოს ომის დანაშაულების გამოძიებას.

ქართულმა დელეგაციამ ღონისძიების მონაწილეებს რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის დროს ჩადენილი დანაშაულე-ბის ამსახველი ვიზუალური მასალა გააც-ნო და იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებუ-ლი საინფორ-მაციო ბრო-შურა გადას-ცა, სადაც დე-ტალურად არის აღწერილი ჩადენილი დანაშაულები. შეხვედრის დასასრულ, გოჩა ლორთქიფანიძემ კიდევ ერთხელ მო-უწოდა სესიის მონაწილეებს, ძალისხმევა არ დაიშურონ, რათა 2008 წლის ომის ათასობით მსხვერპლისთვის მართლმსა-ჯულება აღსრულდეს.

ქართული დელეგაცია გოჩა ლორთ-ქიფანიძის ხელმძღვანელობით ნიუ-იორკში სისხლის სამართლის საერთა-შორისო სასამართლოს (ჰააგის სასა-მართლო) წესდების (რომის სტატუტის) ხელმომწერი სახელმწიფოების ასამბ-ლეის მე-16 სესიაში მონაწილეობის მი-საღებად იმყოფება.

06 დეკემბერი 2017 წელი

ᲨᲞᲡ „ᲯᲘ-ᲔᲡ-ᲔᲤ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ“ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲖᲐᲖᲐ ᲜᲝᲖᲐᲫᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ

ქალბატონ მაია ძიძიშვილს პ/ნ 01024055078 (მსესხებელი, მცხოვრები: ქ.თბილისი, თამარაშვილის ქუჩა №21, ბინა №1) და ჯენერი ხორავას პ/ნ 58001000168, (უზრუნველყოფის საგნის მესაკუთრე, მცხოვრები: ხობი, ჭავჭავაძის ქუჩა №17).

მოგესალმებით ქალბატონო მაია და ბატონო ჯენერი

გაცნობებთ, რომ შპს „ჯი-ეს-ეფ ჯგუფსა“ და ქალბატონ მაია ძიძიშვილს შორის 2017 წლის 13 აპრილს გაფორმებული, ნომერი: ს/ა-014 სესხის და გირავნობის ხელშეკრულების პირობები დარ-ღვეულია, დანართში მითითებული გრა-ფიკის მიხედვით აღნიშნული სესხი 2017 წლის 14 აგვისტოდან იმყოფება ვადა-გადაცილებაში.

თანახმად ზემოთ აღნიშნული ხელ-შეკრულებებისა, 2017 წლის 06 დეკემბრის მდგომარეობით მოვითხოვთ დარიცხული პირგასამტეხლოს 247.72 ლარი, ვადა-გადაცილების საპროცენტო დავალია-ნების 729.42 ლარი, ვადაგადაცილებული ძირითადი თანხის 605.1 ლარი, ძირი-თადი თანხა 4391.69ლარი, სულ: 5 444.56 ლარის უკან დაბრუნებას მაქსიმუმ ორი კვირის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვე-ვაში მივმართავთ სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსა-ხურების სააგენტოს გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

პატივისცემით,
შპს „ჯი-ეს-ეფ ჯგუფის“ დირექტორი
ზ. ნოზაძე

ტელ: 2-37-89-88
მობ: 592-196-196
2017 წლის 06 დეკემბერი.

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

2018 წლის 26 იანვარს 14:00 საათზე, დაბა სტეფანწმინდის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში მის: ალ. ყაზბეგის №1-ში გაიმართება (შ-147) შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის აჩხოთისნო-ახალციხე-ჯუთას ს/გზის გაგრძელების, ჯუთა-როშკას სიგრძით 3.9 მონაკვეთის მშენებლობის (ლოტი 1) გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა. შეხვედრის მიზანია დაგეგმილ სამუშაოთა ზემოქმედების არეალში მოქცეული ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- **საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე:** www.georoad.ge
- **სტეფანწმინდის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში ბეჭდური ვერსია.**

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქალბატონ ლუიზა ბუბაშვილს ტელ: 595 219141 ელ.ფოსტა: likabubashvili@yahoo.com

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

◎ წინ, საქართველო!

ანასტასია გოტფრიდი მსოფლიოს ჩემპიონია!



ამერიკის შეერთებულ შტატებში მიმდინარე ძალოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატზე საქართველოს ჰიმნი აუღერდა. პირველად სამამულო სპორტის ისტორიაში კვარცხლბეკზე ქალთა ნაკრების წევრი ავიდა — 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში ანასტასია გოტფრიდმა ორჭიდის ჯამში 265 კილოგრამი დააგროვა და უახლოეს მდევარს 10 კილოგრამით გაუსწრო.

პირველი მოძრაობა — ატაცი გოტფრიდმა 116 კილოგრამით და შედეგიანი ცდით დაიწყო. შემდეგ კი 120 შეუკვეთა და შტანგა მეორე ცდაზე დაიმორჩილა, თუმცა, მცირე ოქროს მედლის მოსაპოვებლად ეს შედეგიც ეყო.

აკვრაში ანასტასიამ 135, 140 და 145-კილოგრამიანი შტანგები ასწია და მოძრაობა მეორე ადგილით დაასრულა, ორჭიდში კი არცერთ კონკურენტს ოქროს მედლისთვის ბრძოლის შანსიც არ დაუტოვა.

საქართველოს ნაკრები ანაჰაიმში სულ 4 ძალოსნით ჩავიდა. მათგან საქმეში სამი უკვე ჩაერთო და გიორგი ასანიძის გაწვრთნილი გუნდის ანგარიშზე 4 მედალია: შოთა მიშველიძის (62 კგ) მიერ ორჭიდში მოპოვებული ბრინჯაო და ანასტასია გოტფრიდის 2 ოქრო და 1 ვერცხლი.

დღეს ამერიკულ ფიცარნაგზე ოლიმპიური, მსოფლიოსა და ევროპის მოქმედი ჩემპიონი და მსოფლიოს რეკორდსმენი ლაშა ტალახაძე (+105 კგ) გავა.

1. ანასტასია გოტფრიდი (საქართველო) 265 კგ (120+145),

2. მარია ფერნანდა ვალდეს პარისი (ჩილე) 255 კგ (109+146),

3. კრისმერი სანტანა პეგუერო (დომინიკანელთა რესპუბლიკა) 254 კგ (113+141).

კოგა კოგახიძე

◎ ლეგიონერები

სოლომონ კვირკველია - ტურის სიმბოლურში

მოსკოვის „ლოკომოტივის“ მცველი სოლომონ კვირკველია რუსეთის პრემიერლიგის XIX ტურის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა. 25 წლის ქართველ ფეხბურთელს ყაზანის „რუბინთან“ კარგი თამაში გამოცემა Championat.com-მა დაუფასა.

„შესანიშნავი მატჩი ჩაატარა „ლოკომოტივის“ ცენტრალურმა მცველმა სოლომონ კვირკველიამ ყოფილი გუნდის წინააღმდეგ. მისი დამაჯერებელი თამაში რკინიგზელებს „რუბინის“ მინიმალური ანგარიშით დამარცხებაში დაეხმარა“ — წერს გამოცემა.

საერთოდ, კვირკველია მიმდინარე სეზონში ტურის სიმბოლურში ძალზე ხშირად ხვდება. რუსული მედია ერთხმად აღიარებს, რომ ქართველი პრემიერლიგის ერთ-ერთი გამორჩეული მცველია, „ლოკომოტივი“ კი გათამაშებას სოლიდური უპირატესობით ლიდერობს და 6 ქულით უსწრებს „ზენიტს“.

გიორგი შოთაძე

შერმადინი „უნიკახას“ 11 ქულით შეეწია

ესპანეთის საკალათბურთო ჩემპიონატის — ლიგა ენდესას მეათე ტურში მალაგას „უნიკახამ“ საკუთარ მოედანზე „ჟუვენტუტი“ ადვილად დაამარცხა — 86:74.

ანდალუზიელთა სასტარტო ხუთეულში არ ყოფილა გიორგი შერმადინი, რომელიც მცირე ტრავმის შემდეგ დაუბრუნდა მოედანს. ქართველმა ცენტრმა პარკეტზე 18 წუთი გაატარა, რა დროშიც საკუთარ გუნდს 11 ქულა, 5 მოხსნა და 1 შედეგიანი გადაცემა შესძინა.



შერმადინმა 3-დან ორი ორქულიანი და 8-დან შვიდი საჯარიმო ჩააგდო. ჩვენებური თითქმის უშეცდომოდ მოქმედებდა შეტევაში: საჯარიმოების 88% გამოიყენა, ხოლო თამაშიდან 67% აჩვენა, 5-დან ორი მოხსნა კი მეტოქის ფარზე მიითვალა.

„უნიკახას“ 10 ტურში 5 მოგების წილ 5 წაგება აქვს და მერვე პოზიციაზეა. მალაგელები შემდეგ შეხვედრას 10 დეკემბერს სარაგოსაში ჩაატარებენ.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

2018 წელს - საფრანგეთში

„მსოფლიო რაგბის“ გადაწყვეტილებით, 2018 წლის 20-წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატს საფრანგეთი უმასპინძლებს. თამაშები იქაურ სარაგბო ქალაქებში ბეზიეში, პერპინიანსა და ნარბონში გაიმართება.

ჯგუფური ეტაპის შეხვედრები 30 მაისს, 3 და 7 ივნისს მოეწყობა, 12 ივნისს ნახევარფინალები, ხოლო 17 ივნისს ფინალური მატჩებია დანიშნული.

შეგახსენებთ, რომ უმცროსი „ბორჯღალოსნები“ **„გ“ ჯგუფში** სამხრეთ აფრიკასთან, მასპინძელ საფრანგეთთან და ირლანდიასთან ერთად ითამაშებენ, **„ა“ ჯგუფში** ახალი ზელანდია, ავსტრალია, უელსი და იაპონია, ხოლო **„ბ“** ჯგუფში ინგლისი, შოტლანდია, იტალია და არგენტინა არიან განაწილებული.

„საქართველოში ჩატარებული წარმატებული ჩემპიონატის შემდეგ, რომელმაც სოციალური მედიის ყველა რეკორდი მოხსნა, საფრანგეთში მივემგზავრებით. საინტერესოა, ვინ მოხვდება ამ ტურნირიდან 2019 წლის მსოფლიო თასზე“ — განაცხადა „მსოფლიო რაგბის“ თავმჯდომარემ ბილ ბომონტმა.

„20-წლამდელთა ჩემპიონატი საერთაშორისო რაგბის განვითარებაში უდიდეს როლს თამაშობს და ამაყი ვარ, რადგან მას საფრანგეთი უმასპინძლებს. ეს ტურნირი ახალგაზრდა, ნიჭიერი მოთამაშეების აღმოჩენას ემსახურება. ვეცდებით ის უმაღლეს დონეზე ჩავატაროთ, ისევე, როგორც 2023 წლის მსოფლიო თასი, რომელსაც ასევე საფრანგეთი უმასპინძლებს“ — თქვა საფრანგეთის რაგბის კავშირის პრეზიდენტმა ბერნარდ ლაპორტმა.

მანუჩარ გიორგაძე

◎ უკვდავება

გვახსოვხარ, ვიტალი!

მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის VIP დარბაზმა საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის მიერ გამოცემული წიგნის — „ვიტალი დარასელია 60“-ის პრეზენტაციას უმასპინძლა.

მისი შემდგენელი საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი ლაშა გოდუაძეა. „ვიტალი დარასელია 60“ ფეხბურთელის შესახებ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული წერილების, ინტერვიუების, ჩანახატებისა და მოგონებების კრებულია, რომელშიც თავმოყრილია ფოტოები ვიტალი დარასელიას არქივიდან.

ღონისძიებას სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ტარიელ ხეჩიკაშვილი და მინისტრის მოადგილე შალვა გოგოლაძე, ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი დავით მუჯირი და პირველი ვიცე-პრეზიდენტი კახა ჭუმბურიძე, ვიტალი დარასელიას ოჯახის წევრები, ვეტერანი ფეხბურთელები და გულშემატკივრები დაესწრნენ.

მალე 35 წელი სრულდება ლეგენდარული ფეხბურთელის გარდაცვალებიდან. თბილისის „დინამოს“ ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი გოლის ავტორი 1982 წლის 13 დეკემბერს რიკოთზე, სოფელ უბისასთან მომხდარ ავტოავარიას შეეწირა.

„ეს წიგნი დიდი სიყვარულით იქმნებოდა. ჩვენ ყველანი ბედნიერები ვიქნებოდით, 60 წლის იუბილე ბატონ ვიტალისთან ერთად რომ აღგვენიშნა, მაგრამ რა გაეწყობა, მომხდარს ვერ შევცვლით. ახლა ისღა დაგვრჩენია, ასეთი ადამიანების ხსოვნას სტრიქონებით მაინც მივაგოთ პატივი. მსურს, მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც წიგნის მომზადებაში დაგვეხმარა: უპირველესად, ვიტალი დარასელიას შვილს ქრისტინეს, რომელმაც უშურველად დაგვითმო ოჯახის არქივი, ასევე სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს და ფეხბურთის ფედერაციას, რომელთა დახმარებითაც განხორციელდა ეს პროექტი“, — განაცხადა წიგნის შემდგენელმა ლაშა გოდუაძემ.

„საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამ წელს რამდენიმე კარგი წიგნი გვაჩუქა და სპორტული კუთხით ძალიან წარმატებული სეზონის მიწურულს კიდევ ერთი გამოცემით გაგვახარა - ეს წიგნი, რომელიც ყველას სახსოვრად გადმოგეცათ, ლეგენდარულ ქართველ ფეხბურთელს ვიტალი დარასელიას ეძღვნება. თუ როგორი ფეხბურთელი იყო დარასელია და რა ღვაწლი მიუძღვის თბილისის „დინამოსა“ და, ზოგადად, ქართული ფეხბურთის განვითარებასა და პოპულარიზაციაში, ამაზე არ ვისაუბრებ, რადგან დარწმუნებული ვარ, აქ შეკრებილი საზოგადოებიდან ყველამ ძალიან კარგად იცის ამის შესახებ. მას მხოლოდ ერთი სიტყვით მოვიხსენიებ — ლეგენდა! ვიტალი დარასელია სწორედ ასეთად შემორჩა ქართულ ფეხბურთს და, ზოგადად, საქართველოს. ქართული ფეხბურთის ნათელი მომავალი სახელოვანი წარსულის ჯეროვანი დაფასების გარეშე წარმოუდგენელია, ეს ყველა ჩვენგანს უნდა გვახსოვდეს. ვფიქრობ, ასეთი გამოცემები საამისოდ მისწრებაა“, — განაცხადა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ტარიელ ხეჩიკაშვილმა.

გამოცემისა და ვიტალი დარასელიას შესახებ ისაუბრეს სფფ-ს გენერალურმა მდივანმა დავით მუჯირმა, სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტმა მიხეილ აბაიშვილმა, ლეგენდარული „დინამოს“ კაპიტანმა ალექსანდრე ჩივაძემ და ქრისტინე დარასელიამ.

ბეჟან დოლიძე

სანთელი

მერი არტემის ასული გეგეჭკორი

სრულიად აფხაზეთმა, გალის რაიონის მოსახლეობამ, მთელმა პედაგოგიურმა საზოგადოებამ, ახლობლებმა და მეგობრებმა 5 დეკემბერს ქალაქ გალში ცხოვრების უკანასკნელ გზაზე გააცილეს საქართველოსა და აფხაზეთის დამსახურებული, ღვაწლმოსილი პედაგოგი, ქალბატონი **მერი არტემის ასული გეგეჭკორი**. გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრი ღრმა მწუხარებით იუწყება მის გარდაცვალებას და თანაუგრძნობს შვილებს, შვილიშვილებს, გალის რაიონის განათლების განყოფილებაში დევნილობამდე დასაქმებულ ყველა თანამშრომელს.

მერი გეგეჭკორი დაიბადა 1931 წელს გალის რაიონში. 1954 წელს დაამთავრა სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის სპეციალიზაციით. 1954-1962 წლებში მუშაობდა გალის №3 საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად; 1962-67 წლებში — ამავე სკოლის დირექტორის მოადგილედ სასწავლო მუშაობის დარგში; 1967-1975 წლებში — გალის განათლების განყოფილების მეთოდური კაბინეტის გამგედ, ქალაქ გალის №2 საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად.

მერი გეგეჭკორი 1975 წლიდან მშრომელთა დეპუტატების გალის რაისაბჭოს აღმასკომის მდივანად იქნა გადაყვანილი, მუშაობდა საქართველოს კ. პ. გალის რაიკომის საერთო განყოფილების გამგედ, 1976-87 წლებში — საქართველოს კომუნისტური პარტიის გალის რაიკომის მეორე მდივნად. 1987 წლიდან ქალბატონი მერი ისევ რაიონის საგანმანათლებლო საქმის სათავეშია და ხელმძღვანელობს გალის რაიონის განათლების განყოფილებას.

დევნილობის უმძიმეს პერიოდში, 1994 წლიდან, მერი გეგეჭკორმა თბილისში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტროსთან დაუდო სათავე გალის განათლების განყოფილების მუშაობას და თანამშრომლებთან ერთად დახმარებას უწევდა იძულებით გადაადგილებულ მოსწავლე ახალგაზრდობას, მასწავლებლობას. 1996 წელს იგი დაინიშნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების მინისტრის მოადგილედ.

2005 წლის ჩათვლით, ნახევარ საუკუნეზე მეტხანს, ქალბატონი მერი უწყვეტად ემსახურა საყვარელ საქმიანობას.

ხანგრძლივი პედაგოგიური საქმიანობის, გალის რაიონის მოსწავლე ახალგაზრდობის და მოსახლეობის საკეთილდღეოდ გაწეული თავდადებული შრომისათვის, ქართველთა და აფხაზთა შერიგების საქმეში ჩადებული წვლილისათვის მერი გეგეჭკორი დაჯილდოებული იყო არაერთი სამთავრობო ჯილდოთი. მან თავისი აღზრდილების, თავისი ხალხის უდიდესი პატივისცემა და სიყვარული მოიპოვა და ამ სიყვარულით შეუერთდება იგი სამარადისო სასუფეველში გადანაცვლებულ თავის საყვარელ მეუღლეს, საყვარელ შვილს, ძვირფას კოლეგებს: ტარიელ შარიას, ნინო კბილაცეცხლაშვილს, შოთა გვილიას, ლამარა ჩხეიძეს, შალვა ბასარიას, ვალიკო აქირთავას, ილია ანთიას, ნიურა შონიას, სერგო ხორავას, მიხეილ მაჭავარიანს...

ნათელში იყოს ქალბატონი მერი გეგეჭკორის სული.

გალის მუნიციპალიტეტის
განათლების რესურსცენტრი

სვანეთში უკანონო ხე-ტყის ფარულად გადასატანი კუსტარული მოწყობილობის დემონტაჟი განახორციელეს

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლებმა უკანონო ხე-ტყის ფარულად გადასატანი გზისა და კუსტარული მოწყობილობის დემონტაჟი მოახდინეს.



დეპარტამენტის თანამშრომლებმა, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის დაბა ჯვარში, ე.წ. ხოკოს უბანში არსებული საგუშაგოს მიმდებარედ (აღნიშნულ საგუშაგოზე, ხე-ტყის კანონიერების შემოწმების მიზნით, სვანეთიდან გამომავალ სატრანსპორტო საშუალებებზე მუდმივი კონტროლი ხორციელდება) აღმოაჩინეს შემოვლითი გზა, რომლის საშუალებითაც ხდებოდა უკანონოდ მოპოვებული ფიცრის გადატანა, რაც შემდეგი სქემით ხორციელდებოდა:

ბრაკონიერებს, სასაფლაოს გზის გამოყენებით, ტყის მიმართულებით აჰქონდათ უკანონოდ მოპოვებული ფიცარი, რომელსაც ადგილობრივი კერძო პირის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ასაწყობებდნენ. ამის შემდეგ, ტყეში სპეციალურად მოწყობილი ხის კონსტრუქციის გამოყენებით, ხდებოდა ფიცრების დაღმართზე დაშვება (ჩასრიალება). დაახლოებით 40 მეტრი სიგრძის ხის კონსტრუქციის ბილიკი ისევ კერძო მესაკუთრის ტერიტორიაზე სრულდებოდა, საიდანაც ფიცრის ტრანსპორტირება უკვე ავტომობილების საშუალებით ხდებოდა. ამ მეთოდით ბრაკონიერები საგუშაგოს გვერდის ავლით, შემოვლითი გზით ახერხებდნენ ფიცრის გადატანას.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა აღნიშნული შემოვლითი გზისა და ფიცრის კონსტრუქციის დემონტაჟი მოახდინეს.

ამოღებულ იქნა 11 $მ^3$-მდე ფიცარი, რომელიც შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის წალენჯიხის რაიონულ სამმართველოშია გადატანილი.

რედაქცია
„საქართველოს რესპუბლიკაში“
სულხან-საბას ქ. №3. 293-13-34; 599 797679

აქტიური პროცესები დეკემბერში

გეოფიზიკური აქტივობის გაძლიერება დეკემბერში 8-10, 13-14 და 17-27 რიცხვებშია მოსალოდნელი. ამ დროს სავარაუდოა ციკლონებისა და ქარიშხლების ჩამოყალიბება, ყველა სახეობის ავარიულობის წარმოშობა, სოციუმში დაძაბულობის მატება და სეისმური აქტივობის გაძლიერება.

10 — მთვარის ბოლო მეოთხედი ქალწულის თანავარსკვლავედში. მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ცვალებადობა, ნევროზულობისა და ზიზღიანობის მატება. გაუთავებელი ნერვიულობისა და დაღლილობის გამო შესაძლოა თავის ტკივილების, უძილობის, კუჭქვეშა ჯირკვლის აშლილობის წარმოშობა. ეცადეთ, თავი აარიდოთ სტრესებსა და ზედმეტ ფიზიკურ დატვირთვებს. კარგი დროა სამედიცინო პროფილაქტიკური დათვალიერებისთვის, თმის შესაჭრელად, ფიტოთერაპიისთვისა და კანის მოსავლელად.

13 — დედამიწისა და მერკურის, ასევე მთვარისა და მარსის შეერთება მორიელის თანავარსკვლავედში. შესაძლოა ემოციური დაძაბულობა, ეჭვიანობა. ამ დროს ადვილია შიდა და გარეთა სასქესო ორგანოთა დაზიანება. გამორიცხული არ არის ბუასილის გამძაფრება, აგრეთვე თავის ტკივილების წარმოშობა და რესპირატორულ დაავადებათა შეყრა. უარი თქვით ალკოჰოლის, ცხიმიანი და ცხარე საჭმლის მიღებაზე, მოერიდეთ გაციებას და აკონტროლეთ საკუთარი ემოციები.

14 — მთვარისა და იუპიტერის შეერთება მორიელის თანავარსკვლავედში. სავარაუდოა თვითდაჯერებულობის მატება, კომპრომისზე წასვლის სურვილის არქონა, მანიპულაციებისადმი ლტოლვის გაძლიერება. დიდია ფარისებრი და კუჭქვეშა ჯირკვლების, აგრეთვე გულისა და თირკმლების დაავადებათა წარმოშობის ალბათობა. მოერიდეთ დაუფიქრებელ საქციელს, ზომიერება დაიცავით ჭამის დროს. კარგი დროა ფიზიკური მუშაობისთვის.



17 — მთვარის მერკურთან და ვენერასთან შეერთება მშვილდოსნის თანავარსკვლავედში. დღე ოპტიმიზმის, გულღიობისა და სამართლიანობის ნიშნით ჩაივლის. შესაძლოა კუნთების, მუხლებისა და თეძოების სახსრების ტკივილების წარმოშობა. გამორიცხული არ არის სახსრების შეშუპება, რევმატიზმისა და ოსტეოქონდროზის გამძაფრება, ასევე ფილტვებისა და ბრონქების დაავადებათა წარმოშობა. ტრანსპორტით მგზავრობისას დაიცავით სიფრთხილე.

18 — ახალმთვარეობა, მთვარის სატურნთან შეერთება მშვილდოსნის თანავარსკვლავედში. მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ცვალებადობა. ორგანიზმი მაქსიმალურადაა შესუსტებული, იმუნიტეტი დაქვეითებულია, დაბალია შრომისუნარიანობა. შესაძლოა ქრონიკულ დაავადებათა გამძაფრება, სისხლის მიმოქცევის დარღვევა. დიდია თეძოებისა და მუხლების სახსრების ტკივილების წარმოშობის ალბათობა. ავადმყოფობის მიზეზი შეიძლება გახდეს ფიზიკური დატვირთვები, შეუსვენებლად მუშაობა. დაიცავით დიეტა, ძილისა და დასვენების რეჟიმი.

20 — მთვარისა და პლუტონის შეერთება თხის რქის თანავარსკვლავედში. ამ დღეს სავარაუდოა პასუხისმგებლობისა და მოვალეობის გრძნობების, ასევე დეპრესიის გამძაფრება. ძნელად აღიქმება სიმარტოვე, მოსალოდნელია უსიამოვნებები შინ და სამსახურში. დიდია ძვლების, კბილებისა და კანის დაავადებათა გამძაფრების ალბათობა. გამორიცხული არ არის საშარდე ორგანოთა სნეულებების წარმოშობა. მოერიდეთ გაცივებას, თბილად ჩაიცვით, მოერიდეთ ზედმეტ ფიზიკურ დატვირთვას.

24 — მთვარისა და ნეპტუნის შეერთება თევზების თანავარსკვლავედში. მოსალოდნელია საავარიო სიტუაციების წარმოქმნის ალბათობა. გამორიცხული არ არის ინფექციურ და კანის დაავადებათა შეყრა, ღვიძლის მუშაობის დარღვევა. დაიცავით დიეტა, მოერიდეთ სპირტიანი სასმელების, ყავისა და ცხიმიანი საკვების მოხმარებას, ნუ გადატვირთავთ ფეხებს. სასარგებლოა წყლის პროცედურებისა და ტერფების მასაჟის ჩატარება. შესაფერისი დროა წამოწყებულ საქმეთა დასასრულებლად.

26 — მთვარის პირველი მეოთხედი ვერძის თანავარსკვლავედში, მთვარის ასპექტები. მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ცვალებადობა, გამღიზიანებლობისა და ფეთქებადობის, ასევე ნევროზულობის მატება, რასაც, შესაძლოა, კონფლიქტები მოჰყვეს. გამორიცხული არ არის თავის ტკივილი, ცუდი ძილი, ქრონიკულ დაავადებათა გამძაფრება. მოუფრთხილდით ცეცხლს, დაიცავით ძილისა და დასვენების რეჟიმი.

27 — მთვარისა და ურანის შეერთება ვერძის თანავარსკვლავედში. გაიზრდება დამოუკიდებლობის შეგრძნება, აღგზნებადობა, წინასწარ ძნელად განსაჭვრეტ მოქმედებებისადმი მიდრეკილება. შესაძლოა კისრის მალებში ტკივილების წარმოშობა, მოერიდეთ გადაღლასა და ჭარბ აღგზნებას, დაიცავით ძილისა და დასვენების რეჟიმი, მოერიდეთ დაცემასა და გაცივებას, მოუფრთხილდით ცეცხლს და აღმგზნებად საშუალებებს. სასარგებლოა გამაჯანსაღებელი ღონისძიებების მოწყობა, სეირნობა.

◎ რაც გვჭირს

გამოჩერჩეტების გზით...

ინტელექტის დონის (IQ) **მსოფლიო საშუალო მაჩვენებელი უკვე ოთხი ათეული წლის მანძილზე ქვეითდება, რისი მიზეზიც, ლონდონის სამეფო კოლეჯის მეცნიერთა აზრით, ისაა, რომ კაცობრიობა ბერდება.**

1930-იან წლებში მეცნიერებმა შენიშნეს, რომ ყოველი მომდევნო თაობის ინტელექტის საშუალო დონე წინასაზე მაღალია: ახალგაზრდები თავიანთ მშობლებსა და, მით უმეტეს, ბებია-ბაბუებზე უფრო ჭკვიანები იყვნენ. მაშინ მკვლევარები ამ ფენომენს

განათლების, მედიცინისა და კეთილდღეობის დონეების ზრდით ხსნიდნენ. მაგრამ გასული ათწლეულის შუა ხანებში კაცობრიობის ინტელექტის საშუალო დონემ კლება დაიწყო. ამის მიზეზს სოციოლოგები იმაში ხედავდნენ, რომ, დაბალი განათლების მქონე მოსახლეობასთან შედარებით, ინტელექტუალები ბავშვებს ნაკლებად აჩენენ.

მაგრამ, ცოტა ხნის წინათ მკვლევარები დააკვირდნენ, თუ როგორ იცვლებოდა ჩვენი **ხანმოკლე მეხსიერება**, რომელიც ყოველდღიური ამოცანების გადაჭრაში გვეხმარება და **სამუშაო მეხსიერება**, რომელსაც მონაცემთა ანალიზის დროს ვიყენებთ. აღმოჩნდა, რომ ბოლო 40 წლის მანძილზე ხანმოკლე მეხსიერება გაგვიუმჯობესდა, სამუშაო მეხსიერება კი, პირიქით, გაგვიუარესდა.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ სამუშაო მეხსიერება ხანდაზმულ ადამიანებს უქვეითდებათ, ხოლო ეპიზოდური (ანუ ხანმოკლე), ასაკის მატებასთან ერთად დიდად არ უარესდება.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ მსოფლიო IQ დონის შემცირება შეიძლება იმასთან იყოს დაკავშირებული, რომ განვითარებული ქვეყნების მოსახლეობა სწრაფად ბერდება.

ნინო ალექსანდრია

ბუკინისტი იყიდის:

მე-18-მე-19 საუკუნეში გამოშვებულ წიგნებს — 1500 ლარად, საბჭოთა კავშირში გამოშვებულ ფაიფურის სტატუეტებს — 200 ლარად, ძვირად იყიდის 1945 წლამდე გამოშვებულ ჟურნალებს, მისალოცა ბარათებს, გრავიურებს, ნახატებს, ხელნაწერებს, პლაკატებს, საბავშვო წიგნებს, მოვერცხლილ ან ვერცხლის ჭურჭელს.

591-75-35-38.

საუზმის ძალა

სწორი საუზმე ინსულტისა და ინფარქტის თავიდან აცილებაში დაგეხმარებათ, აცხადებენ ამერიკელი მეცნიერები.

დილის საათებში ხდება სისხლში თრომბოციტების შეწებება, რასაც თრომბების წარმოშობის გამოწვევა შეუძლია. სრულფასოვნად საუზმობისას თქვენ ამ პათოლოგიური პროცესის განვითარებას თავს არიდებთ.

ჯანსაღი საუზმე მხოლოდ ორგანიზმისთვის სასარგებლო ნივთიერებებისგან უნდა შედგებოდეს. **დილის საათებში ნახევარფაბრიკატების, დამუშავებული ხორცის, შემწვარისა და ცხიმიანი საკვების გამოყენება რეკომენდებული არ არის.** საქმე ის არის, რომ დილიდან ორგანიზმი არ არის ბოლომდე გაღვიძებული, ამიტომ ასეთი საკვების გადამუშავებას ვერ შეძლებს.

საუზმე ისეთი მენიუსგან უნდა შედგებოდეს, რომ ცილის დღიური ნორმის მესამედს, ნახშირბადების დღიური ნორმის ორ მესამედსა და ცხიმების ოდენობის მეხუთედს შეიცავდეს. საჭმლის მიღება კი საჭიროა სრული გაღვიძებიდან სულ მცირე ნახევარი საათის შემდეგ.

მშობელთა მაგალითის წაბაძვით

მრავალი შვილის ყოლა იმ ხალხს სურს, ვისი მშობლები აღზრდისას გვერდში ამოდგომის სტილს იყენებდნენ, მიაჩნიათ იაპონელ ექიმებს.

მკვლევარებმა 100 ათასი მოხალისის მონაცემები გააანალიზეს საიმისოდ, რომ შეესწავლათ მშობლების მიერ გამოყენებული აღზრდის სტილის ზეგავლენა შვილებზე. საქმე ისაა, რომ იაპონიაში შვილების აღზრდის ხუთი ძირითადი სტილია მიღებული: **მხარდამჭერი, შემწყნარებლური, მკაცრი, გულგრილი და სასტიკი.**

მხარდამჭერი სტილის დროს ბავშვი დამოუკიდებელია, მას ენდობიან, აინტერესებთ მისი საქმიანობა და მასთან დიდ დროსაც ატარებენ. **მკაცრი** სტილი ბავშვის დამოუკიდებლობის დაბალ და ნდობის საშუალო ხარისხს, მკაცრ მოპყრობასა და ბევრი წესის არსებობას გულისხმობს. **შემწყნარებლური** სტილის დროს ბავშვს ენდობიან, სიმკაცრეს არ იჩენენ, მაგრამ მშობლები ბავშვთან დიდ დროს არ ატარებენ. **გულგრილი** სტილი — ესაა ბავშვისადმი ინტერესის დაბალი დონე, სიმკაცრის არსებობა, ცოტა წესი და ბავშვთან გატარებული კიდევ უფრო ცოტა დრო. აღზრდის **ხისტი** სტილის დროს, ბავშვისადმი ინტერესი, ნდობა და დამოკიდებულება ძალიან ცოტაა, სამაგიეროდ, ბევრია სიმკაცრე.

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო
ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გასაცინებელი ა(მ)ბები

რჩევა

ცოლ-ქმარი რესტორნიდან გამოდის, ქმარი გაუბედავი ნაბიჯით მიდის მანქანისკენ, რომელიც ტროტუარზე დგას. მას შვეიცარი მიმართავს:

— მაპატიეთ, მაგრამ საჭესთან ნასვამი ნუ დაჯდებით, აჯობებს თქვენმა მეუღლემ წაგიყვანოთ.

— რას ამბობთ, ჩემი ცოლი უფრო მთვრალია, — ეუბნება ქმარი.

ყოველი შემთხვევისთვის

კინოში სეანსის დროს ერთ-ერთი მაყურებელი დგება და დარბაზიდან გადის. რამდენიმე წუთში უკან ბრუნდება და რიგის თავში მჯდომარე მავანს ეკითხება:

— რომ გავდიოდი, ფეხი თქვენ დაგაბიჯეთ?

— დიახ, მაგრამ ნუ წუხდებით.

— არა, სულაც არ ვწუხდები. უბრალოდ, შეგეკითხეთ, რიგი ხომ არ მეშლება-მეთქი.

ძალა კოსმეტიკისა

სილამაზის ინსტიტუტმა ლოს-ანჯელესში ვიტრინაში ასეთი პლაკატი გამოფინა: „ჩვენი ინსტიტუტიდან გამოსულ მანდილოსანთან ფლირტის გაბმას ნუ შეეცდები, რადგან ადვილი შესაძლებელია, იგი ბებიაშენი გამოდგეს!“

ზედმეტი გაღასახადი

ტეხასელმა დიდმა ჯეკმა ცოლსა და სიდედრს სცემა. საქმის მოსმენის შემდეგ თავმჯდომარემ განაჩენი გამოაცხადა:

— ბრალდებულმა ჯარიმის სახით უნდა გადაიხადოს 1020 დოლარი.

— მართალი გითხრათ, არ მესმის, ასეთი უცნაური თანხის გადახდა რატომ მომისაჯეთ. რა, 1000 დოლარი არ შეიძლებოდა?! — იკითხა გაკვირვებულმა ჯეკმა.

— ოცი დოლარი, ჩვენი შტატის კანონით გათვალისწინებული გადასახადია გართობისთვის, — აუხსნა მოსამართლემ ჯეკს.

ხსოვნა

ჰოლივუდის ვარსკვლავს ერთხელ ჰკითხეს:

— საიდან გაქვთ ეგეთი ორიგინალური ოქროს ყელსაბამი?

— ჩემი ქმრების ხსოვნის აღსანიშნავად ჩამოვასხმევინე.

— ქმრების?!

— დიახ, ეს ყელსაბამი რამდენიმე საქორწინო ბეჭდიდან არის ჩამოსხმული.

მოწმე

განქორწინების პროცესზე მოსამართლე მოწმეს ეკითხება:

— თქვენ მართლა ესწრებოდით იმ გაუგებრობას, რის გამოც ცოლ-ქმარი იყრება?

— დიახ.

— როდის და სად მოხდა ეს ამბავი?

— ხუთი წლის წინათ ქორწილში.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.7085; ევრო - 3.2256;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.6557;
100 რუბლი - 4.6188; თურქული ლირა - 0.6868;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5952;
1000 სომხური დრამი - 5.5926.

ამინდი 6 დეკემბრისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე 0, დღე +15
მთიანი რაიონები - ღამე -3, დღე +12
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +9, დღე +17
მთიანი რაიონები - ღამე +1, დღე +15
თბილისი: ღამე +3, დღე +12

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge